პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 აგვისტო კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 183 (15396)

6 აგვისტო რკინიგზელის დღეა

მოგილოცავთ დღესასწაულს, მეგობრებო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, რომელმაც განიხილა მიმდინარე წლის 31 ივლისს ყირიმში გამართული სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და შუამავალ პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრის შედეგები, გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ეს შეხვედრა ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯია სოციალისტურ სახელმწიფოთა მოძმე პარტიების შეკავშირებისა და ურთიერთმოქმედების განმტკიცების გზაზე, და სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობას, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის გაზიარება, რომელიც ყირიმის შეხვედრაზე გაიმართა, ცხადყოფს, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნები წარმატებით ახორციელებენ გეგმებს, რომლებიც კომუნისტური და მუშათა პარტიების ყრილობებმა დასახეს, ზრდიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას, ახორციელებენ დიდ სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ აყვავებას. ამასთან აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის პროცესის შემდგომ განვითარებას, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

ყირიმის შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადასტურეს, რომ უალრესად სიცოცხლისუნარიანი და ქმედითია სოციალისტური ქვეყნების აქტიური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სამშვიდობო პროგრამას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა.

სოციალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკასთან გადამწყვეტწილად დაკავშირებულია ევროპაში შექმნილი საზღვრების შეუვალობისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დამკვიდრება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მთელი პროცესი, რომელიც სულ უფრო ღრმავდება და ვრცელდება საერთაშორისო ცხოვრების ახალ-ახალ სფეროში. ნილს ლ[illegible]ს საერთაშორისო ურთიერთობაში სუვერენიტეტის, თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრებას.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელშეკრულებების, აგრეთვე დასავლეთ ბერლინის თაობაზე ოთხმხრივი შეთანხმებისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და დასავლეთ ბერლინის სენატთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეთანხმებათა ძალაში შესვლა, სათრანზეთთან და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება კარგ წინამძღვრებს უქმნის ევროპაში ვითარების რადიკალურ გაჯანსაღებას, „ცივი ომის“ შედეგების მთლიანად აღმოფხვრას, ევროპის კონტინენტზე კეთილმეზობლობის დამყარებას და მშვიდობის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რაც შეიძლება მალე მიიღონ როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, აგრეთვე მოწესრიგდეს ჩრდილოლოგოკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა იმ საფუძველზე, რომ ამითავითვე ბათილად ცნონ მიუნხენის შეთანხმება.

ყირიმის შეხვედრამ დაადასტურა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა ინიციატივიანი პოლიტიკის, სხვა დაინტერესებული ქვეყნების კონსტრუქციული პოზიციების, პროგრესული საზოგადოებრივობის საქმიანობის შედეგად შეიქმნა ხელშემწყობი პირობები, რათა უახლოეს დროში დაიწყოს უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის პრაქტიკული მოშზადება, რომელიც დიდი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა გახდეს სახელმწიფოთა კოლექტიური მეცადინეობის საფუძველზე ევროპაში მყარი მშვიდობის სისტემის შექმნის გზაზე.

სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ამავე დროს საკადრის პასუხს აძლევენ იმპერიალიზმისა და რეაქციის აგრესიულ ხრიკებს, გადაჭრით უჭერენ მხარს ხალხთა სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები განუხრელად ეხმარებიან და ყოველმხრივ უჭერენ მხარს გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, მოითხოვენ ისრაელის მთელი ჯარების გამოყვანას ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 242 რეზოლუციის უთუოდ შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აზრით, სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების განმტკიცების პროცესი, რომელიც, როგორც ყირიმის შეხვედრამ ცხადყო, სულ უფრო ძლიერდება, მომძე სოციალისტური ქვეყნების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული წარმატებების განმტკიცებისა და განვითარების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით წინსვლის გადამწყვეტი პირობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მაღალ შეფასებას აძლევს ყირიმის შეხვედრის შედეგებს და აღნიშნავს, რომ მომძე პარტიათა ხელმძღვანელების უშუალო ამხანაგური კონტაქტები ხელს უწყობენ სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეალებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ყირიმის შეხვედრის დასკვნების რეალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებანი.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაცია საქართველოში გაემგზავრა

5 აგვისტოს მოსკოვიდან საქართველოში გაემგზავრა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაცია კრების თავმჯდომარის ჰაფეზ ბადაუის მეთაურობით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეთით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში. (საკდესი).

□ □

ფინეთში საბჭოთა სამხედრო ხომალდების ვიზიტის წინ

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, 10-15 აგვისტოს საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი, რომლის შემადგენლობაში არიან საესკადრო ნაღმოსნები „ნასტოიჩივი“ და „ოგნენნი“, კონტრ-ადმირალ ვ. ა. ლაპინკოვის სარდლობით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩავა ჰელსინკის ნავსადგურში.

რკინიგზელთა დღესასწაული

მოსკოვში

4 აგვისტოს მოსკოვში, ცენტრალურ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართა რკინიგზელთა სრულიად საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. საზეიმო საღამოზე მოვიდნენ მოსკოვის რკინიგზის კვანძის მუშაკები, დედაქალაქის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი.

ხუთწლედის დამდეგიდან, თქვა თავის მოხსენებაში გზათა მინისტრმა ბ. ბ. ბეშჩევმა, ტვირთზიდვის მოცულობა რკინიგზის ტრანსპორტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიმდინარე წლის ექვს თვეში ტვირთბრუნვამ 1.361 მილიარდ ტონა-კილომეტრს მიაღწია და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,4 პროცენტით გაიზარდა. გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 19 მილიონი ტონა ქვანახშირი, შავი ლითონები, ხე-ტყე, ქიმიური და მინერალური სასუქები, სხვა უმნიშვნელოვანესი ტვირთი.

თავისი დღესასწაულის აღსანიშნავად რკინიგზელებმა ვადამდე განაღდეს ტვირთზიდვის შვიდი თვის გეგმა და წარმატებით ართმევენ თავს ნაკისრი გადიდებულ ვალდებულებებს, რომ ვადამდე შეასრულებენ ხუთწლედის მეორე წლის დავალებებს.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

თბილისში

4 აგვისტოს თბილისის რკინიგზელის სახლში გაიმართა რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრება გახსნა ამიერკავკასიის მგზავრალის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გომიანიძემ.

მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. ქადაგიძემ. მან აღნიშნა, რომ მეგობრობის მაგისტრალის მრავალათასიანი კოლექტივი ახალი წარმატებებით ეგებება თავის დღესასწაულს ფოლადის მაგისტრალების შრომელებმა სვეხვინი მოსპეს სტეპიური უდედურების შედეგები, ვადამდე შეასრულეს საწარმოო

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან რკინიგზელთა დღეს თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეები, რომლებმაც ივლისში 4.500 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ტვირთი გადაიტანეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც მემანქანეებს შორის სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისა და ამიერკავკასიის რკინიგზის 100 წლისთავის საიუბილეო თარიღებისათვის არის გაშლილი, წარმატებებს აღწევენ როგორც სატვირთო მატარებლების, ისე სახალხო მატარებლების მემანქანეები.

სურათზე: დეპოს საუკეთესო რკინიგზელები (მარცხნიდან) სატვირთო მატარებლის მემანქანე ი. კუსრაშვილი, სახალხო მატარებლის მემანქანე მ. ჩუბინიძე და სატვირთო მატარებლის მემანქანე ი. პაიჭაძე.

მ. გოგოხიას ფოტო.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, წელიწადის ყველა დროს ლაშაზია სამუშაოს, საგურამო, მაგრამ განსაკუთრებით მომხიბვლელია დიდი ალოობის დროს.

შრომა დაუფასებიათ მცხეთის რაიონის მხვნელ-მთესველებს, თითქმის ყველა სოფელში, ყველა მეურნეობაში, გათვალისწინებულზე მეტ მოსავალს იღებენ. სახელმწიფო ბეღლებში პირველი განაღლეში ხორბალი იგზავნება.

ნატახტრის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა. ახალუბნის შეიფრდება. თავთავდამძიმებულ ყანაში გუგუნებს სოფრომ ქოქაშვილის თვითმავალი კომბაინი, მზით დამწვარი კომბაინერი მალომალ იღიმება. ხუმრობა ხომ არ არის ჰექტარზე მიღო 30 ცენტნერი მოსავალი. გავეხვეთრე ნატახტრელებს: — მარნეულში ჰექტარზე 40-45 ცენტნერს იღებენ-მეთქი. არ გიკვირვეს, ჯერ ერთი, ასეთ მოსავალს ხორბლის ახალი ჯიში „კავკაზი“ იძლევა. მეორეც, იქაური ნოყიერი მიწა ჩვენთან სასუქად გამოდგება, ასე რომ ჩვენი „ჩამორჩენა“ ნუ გიკვირთო.

მერე შესვენებისას ისევ „კავკაზზე“ ჩამოვარდა საუბარი. მცხეთელებმა წელს თითზმოკ ჰექტარზე საცდელად დათესეს ხორბლის უხმოსავლიანი ჯიში „კავკაზი“. ამ ხორბლს შეფობას უწევენ საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები. როგორც ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მ. დალაქიშვილმა გვითხრა, „კავკაზი“ თავისი მონაცემებით გაცილებით ჭარბობს „უფროსი პირველს“. მის გავრცელებას დიდი პერსპექტივა აქვს. საგურამოს საბჭოთა მეურნეობაში 20 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებული 35 ცენტნერი ხორბალი. უკეთესი მოსავალია ძალიან, მუხრანში, ნატახტარში. როგორც წესი, ახალი ჯიშის გამოცდისათვის რამდენიმე წელია საჭირო, მატუტის ხელმძღვანელმა გვითხრა, „კავკაზი“ თავისი მონაცემებით გაცილებით ჭარბობს „უფროსი პირველს“. მის გავრცელებას დიდი პერსპექტივა აქვს. საგურამოს საბჭოთა მეურნეობაში 20 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 35 ცენტნერი ხორბალი. უკეთესი მოსავალია ძალიან, მუხრანში, ნატახტარში. როგორც წესი, ახალი ჯიშის გამოცდისათვის რამდენიმე წელია საჭირო, მანაც საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერს მაინც მივიღებთ.

მკასთან ერთად მიმდინარეობს საკვების დამზადება. ფერმასთან მოზიდულია 300 ტონაზე მეტი თივა და 70 ტონა ნამჯა. საკვების დამზადება გრძელდება.

— ჩვენს იმედგნ ვიოლნებთ, რომ ჩვენს მეცხოველეებს დაეუმზადებთ საკვების წლინახევრის მარაგს, — თქვეს მეურნეობის ხელმძღვანელებმა. შარშან ნატახტრის მეურნეობის კოლექტივმა 30 ცენტნერს მაინც მივიღებთ.

მკასთან ერთად მიმდინარეობს საკვების დამზადება. ფერმასთან მოზიდულია 300 ტონაზე მეტი თივა და 70 ტონა ნამჯა. საკვების დამზადება გრძელდება.

— ჩვენს იმედგნ ვიოლნებთ, რომ ჩვენს მეცხოველეებს დაეუმზადებთ საკვების წლინახევრის მარაგს, — თქვეს მეურნეობის ხელმძღვანელებმა. შარშან ნატახტრის მეურნეობის კოლექტივმა 30 ცენტნერს მაინც მივიღებთ.

ᲡᲐᲒᲣᲠᲐᲛᲝᲡ მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღებაზე სამი კომბაინი მუშაობს, უკვე აღებულია 158 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე 20,5 ცენტნერი ხორბალი მიიღეს.

იღებენ მოსავალს მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაშიც. წელს 33,3 ცენტნერი ხორბალი და 21 ცენტნერი ქერის საშუალო მოსავალი მოიყვანეს ჰექტარზე.

უხვი მოსავლის სული და გული მექანიზატორები არიან.

ძმა ძმისთვისაო, ნათქვამია. ნატახტრელ მხვნელ-მთესველებს ძმური დახმარება გაუწიეს მეზობლებმა — დუშეთის რაიონის არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერებმა ა. კარგოთაისნობა გამოიჩინა მექანიზატორმა ა. ბექაურმა, რომელმაც ნიჩბისში მოსავლის აღების შემდეგ დახმარებლად საგურამოელებთან გადაინაცვლა, ასევე კარგად მოიქცა „საქსოფტექნიკის“ რაიონული განყოფილების მექანიზატორი ვ. ვედეანიშვილი, რომელიც ალოობის დროს კომბაინზე დაჯდა და საგურამოში ეხმარება მეგობარ მექანიზატორებს.

სულ რაიონში ასაღებია 2.552 ჰექტარი ხორბლეული. აღებულია ნახევარზე მეტი, ოცდახუთი კომბაინი უტევს ოქროსფერ ყანებს. იზრდება შრომის ბარაქა, მოდის პური ჩვენი არსობისა.

Ა. ᲗᲝᲛᲝᲫᲔ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

უკრაინელ კოლეგებთან

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. ფრთებს შლის ქართველი და უკრაინელი მეტალურგების მეგობრობა. ამ დღეებში ქართველ მეტალურგთა ერთი ჯგუფი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილის დ. ბარათაშვილის ხელმძღვანელობით, გაემგზავრა დნეპროპეტროვსკის კარლ ლიბკნეხტის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში.

ქართველი მეტალურგები დნეპროპეტროვსკში გააფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებას.

ახლახან აგრეთვე სპეციალური მოწვევით მაკეთევკის მეტალურგიულ ქარხანაში იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი რუსთაველი მეფოლადე მ. სპანდერაშვილი. მან უკრაინელ კოლეგებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მეგობრობის ფოლადის გამოდნობაში. მეგობრული ნადნობი ქართველმა და უკრაინელმა მეტალურგებმა სსრ კავშირის სახელოვან იუბილეს მიუძღვნეს.

ზ. მერკვილაძე.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ ᲛᲘᲜᲡᲙᲘ—ᲙᲐᲠᲘᲜᲖᲘ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ საავტომობილო-სატრაქტორო საექსპედიციო ბაზამ გახსნა ახალი საერთაშორისო ტრასა: მინსკ-პარიზ-მინსკი. ავტომატარებლებმა საფრანგეთში ჩაიტანეს ფარმაცევტული ტვირთის პარტია, ხოლო უკან დაბრუნებისას — ელექტროსაგები საფრანგეთის სამეცნიერო გამოფენისათვის, რომელიც მოსკოვში ეწყობა.

დიდგვირთიან ავტომატარებლებს საბჭოთა სატრანსპორტო საავენტოს ემბლემით მინსკიდან ტვირთი მიაქვთ აგრეთვე პოლონეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. (საკდესი).

რკინიგზა და ტექნიკური პროგრესი

გ. ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲫᲔ,
ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘᲡ დღე ყოველთვის იყო და არის ტრანსპორტის ამ დარგის მუშაკთა საქმიანობის დათვალიერება, რომელიც ეწყობა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამების, მომავლის პერსპექტივების განხილვის ნიშნით. წელს რკინიგზელთა დღეს განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავენ ჩვენი რკინიგზელები, რომლებიც ჩაბმული არიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისა და ამიერკავკასიის რკინიგზის 100 წლისთავის საიუბილეო თარიღების ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში.

ამიერკავკასის რკინიგზელები ყოველთვის პირნათლად ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, მხარდამხარ მიჰყვებოდნენ ჩვენს საქვეყნო მოთხოვნებს და ცდილობდნენ შეუფერხებლად გადაეტანათ სასალხო-სამეურნეო ტვირთები, გადაეყვანათ მგზავრები, გაეუმჯობესებინათ მათი მომსახურება. 1932 წლიდან მოყოლებული, როცა ელექტრიფიცირებული გახდა პროფილით ურთულესი გზის — სურამის უღელტეხილის უბანი, ჩვენს რკინიგზელებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ ეს სამუშაოები. და აი შარშან წლის ბოლოს დამთავრდა მთელი მაგისტრალის ელექტრიფიკაცია.

მეტად ჩქარი ტემპით ვითარდება ორი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკა, ამიტომ რკინიგზის კოლექტივების წინაშე ახალ-ახალი ამოცანები დადგა. ამ ამოცანებს შორის მთავარია რკინიგზის მეორე ხაზების მშენებლობა. მთიანი რელიეფის გამო ეს მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენი მშენებლები თავდადებით შრომობენ. უკვე დაგებულია მეორე ხაზი რკინიგზის თბილის-რუსთავის უბანზე. მალე დამთავრდება მეორე ხაზის დამატებითი უბნების მშენებლობა სურამის უღელტეხილზე, ხოლო 1980 წლამდე მეორე ხაზები მთლიანად დაიგება თბილისს-ზესტაფონის გადასარბენზე, რაც საშუალებას მოგვცემს ერთდროულად მოვაწყოთ მატარებლების მოძრაობა ორმხრივი მიმართულებით და ამით მივაღწიოთ შრომის მაღალ ნაყოფიერებას, ამასთან უსაფრთხოო გავხადოთ შემადგენლობათა შეხვედრი მოძრაობა.

უკანასკნელ ხანს რკინიგზაზე ბევრი სიახლე ინერგება. მაგალითად, ჩვენს ბევრ მნიშვნელოვან სადგურში, როგორიც არის თბილისი, ნავთლუღი, ქუთაისი, ბათუმი, აშენდა მექანიზებული სატვირთო ეზოები, რომლებსაც სარკინიგზო განშტოებები აქვთ და მძლავრი ამწეებით არიან შეიარაღებული. ამ ეზოებში მოეწყო სპეციალიზებული მოედნები, სადაც ხდება მძიმე ტვირთების დამუშავება.

სულ ახლახან რკინიგზის სამმართველოსთან შეიქმნა გაერთიანება „საგზაო — სატრანსპორტო კონტეინერი“, რომელიც მთლიანად ერთ საქმეს — კონტეინერულ და საპაკეტო გადაზიდვებს მოემსახურება. როგორც ცნობილია, ამ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო სკკპ XXIV ყრილობამ. გაერთიანების შემადგენლობაში შევიდნენ ხუთი ქალაქის საგენერო სადგურები — სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის და ერევნისა.

ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა სალოკომოტივო დეპოებში. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ შეიცვალა ელმავლებისა და თბომავლების ტექდათვალიერების პერიოდულობა, რამაც უდავოდ დადებითი გავლენა მოახდინა ლოკომოტივების შრომის ნაყოფიერებაზე, აამაღლა შემეკეთებელთა პასუხისმგებლობა დათვალიერებისა და რემონტის ხარისხისისათვის.

თბილისის, სამტრედიის, ბათუმის და სხვა ქალაქების სავაგონო დეპოებში ვაგონების რემონტი ავტომატურ ხაზებზე ხორციელდება, რაც მუშახელის კონტინგენტის გაუდიდებლად რამდენჯერმე ზრდის შრომის ნაყოფიერებას. წარმატებით ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი რკინიგზელები ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად ეძებენ და ავლინებენ წარმოების ახალ რეზერვებს, ნერგავენ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, მეცნიერებისა და სატრანსპორტო ტექნიკის ახალ-ახალ მიღწევებს. მაგალითად, ჩვენს რკინიგზაზე არის მცირე, მაგრამ თავისი დანიშნულებით მეტად საჭირო ბევრი სადგური, რომლებიც უმნიშვნელო სატვირთო ოპერაციებს ასრულებენ იმის გამო, რომ არა აქვთ შესაბამისი ტექნიკა და სარკინიგზო განშტოებანი, ამიტომ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები აქ ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაღალი არასაწარმოო ხარჯები.

ამჟამად ეს ხარვეზები თანდათან სწორდება, მოეწყობა 35 ე. წ. „საცრდენი“ სადგური, რომლებიც შეიარაღებული იქნებიან აუცილებელი ტექნიკის კომპლექსით, სამაგიეროდ 56 შუალედ სადგურში შეწყდება საერთო სარგებლობის სატვირთო სამუშაოები.

ტვირთბრუნვა რკინიგზაზე თანდათან იზრდება, ამიტომ ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას დამატებითი ტვირთის გადატანისათვის ვაგონების გამოთავისუფლების გზით. ამისათვის წარმოებაში ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები, ხორციელდება მოძრავი შემადგენლობის სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენების ღონისძიებანი.

ვაგონების გამოთავისუფლებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში რკინიგზელები გარკვეულ წარმატებას აღწევენ. მაგალითად, შარშან ისინი ყოველდღიურად დამატებითი ტვირთზიდვისათვის საშუალოდ ათავისუფლებდნენ 1000-1200 ვაგონს. სასიხარულოა, რომ ვალდებულების ამ პუნქტის შესრულების მაჩვენებლით მაგისტრალის კოლექტივი ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა ჩვენი ქვეყნის რკინიგზის კოლექტივებს შორის.

ყველა ამ წარმატებამ, რომლებსაც ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალი ეკონომიური რეფორმის განხორციელებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საქმეში მივაღწიეთ, საშუალება მოგვცა გამართულად, რიტმულად გვიმუშავა და, მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, წელს შრომის მაღალი ნაყოფიერება შეგვინარჩუნებინა. კარგად იმრომეს ჩვენმა რკინიგზელებმა წლის პირველ ნახევარში, დატვირთვის გაზრდილი გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულეს.

როცა რკინიგზელის დღეს მთელი ჩვენი კოლექტივის მიღწევებზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის მოწინავე ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიური წვლილი შეაქონდათ და შეაქვთ საერთო წარმატებაში. ესენი არიან ქუთაისისა და ხაშურის საოკომოტივო დეპოების მემანქანეები ბ. ოყრეშიძე და ი. დავითაძე, სადგურ ნავთლუღ 1-ის მორიგე ი. ცხოვრებაძე, თბილისის საკავშირო დეპოს ზეინკალი დ. ჩიხლადე, სადგურ ფოთის ვაგონების ტექშემოწმების პუნქტის ზეინკალი გ. ჯოჯუა, თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირის დისტანციის ელექტრტექნიკოსი დ. სურმავა, ხაშურის ელექტრომომარაგების უბნის მონტიორი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჩიტაძე, რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მატარებლების დისპეტჩერი ლ. გოგინაშვილი; ახლახან თავის პროფესიაში საუკეთესოს წოდება მოიპოვეს ვაგონების შემდგენელმა გ. ოსეფაშვილმა, გზის ოსტატმა მ. გაბრიელიანმა, ბრიგადირებმა ვ. ფირეცხლაიშვილმა, ლ. კვინიკაძემ, ელექტრომონტიორმა ს. ლაცაბიძემ, ელექტრიკოსმა ბ. ჩადუნელმა, ვაგონების მიმღებმა ვ. დემეტრაშვილმა და ელექტრომონტიორმა ო. პაპუაშვილმა.

ამიერკავკასიის რკინიგზა აღმაფლობის გზაზეა, რადგან ბევრი რამ კარგი გაკეთდა. მაგრამ წინ კიდევ დიდი ამოცანებია, რომელთაგან მთავარზე უმთავრესს მატარებლების უკვე ძალიან ინტენსიური და ჩქარი მოძრაობის უსაფრთხოობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამიტომ კვლავაც განვამტკიცებთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. განვავრცობთ სადგურებისა და კვანძების სრულყოფის, გზის ხაზების გაზრდის, ისრების მართვის დისტანციური ცენტრალიზაციისა და ელექტრონული ცენტრალიზაციის მოწყობის საშუალებებს. ჩქარი ტემპით განვითარდება სატვირთო მეურნეობა, გაფართოვდება მოძრავი შემადგენლობის სარემონტო ბაზა, კვლავაც დიდი ყურადღება მიეცემა სამგზავრო მეურნეობის განვითარებასა და კეთილმოწყობას, აშენდება ახალი სადგურები, პირველ რიგში თბილისნავთლუღის კვანძზე.

მეცხრე ხუთწლედში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს რკინიგზელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. მარტო წელს საცხოვრებელი ბინების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე რამდენიმე მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ჩვენი რკინიგზელები დღითი დღე ზრდიან შრომის ტემპს, ეძებენ ახალ რეზერვებს ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის გასაადიდებლად. საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი წარმატებით იღებს ხუთწლედის ზღუდეებს, სულ უფრო სრულად აკმაყოფილებს ორი მოძმე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

თანამშრომლობა, კონტაქტები...

1972 წლის სექტემბერში ლაიფციგში გაიმართება ტრადიციული ბაზრობა.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ლაიფციგის ბაზრობის გენერალური დირექტორი ფრიდრიხ ვოზნაკი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმარი ამ დღეებში თბილისში იმყოფება.

„კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ფ. ვოზნაკმა თქვა:

— ლაიფციგის ბაზრობას დიდი, ძველისძველი ისტორია აქვს. რეგულარულად 807 წლის განმავლობაში ეს ბაზრობა ფართოდ აღებს კარს მსოფლიოს ბევრი ხალხისათვის. იგი სამართლიანად ითვლება პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს ბაზრობად.

უდიდეს ტერიტორიას დაიკავებს სოციალისტური ქვეყნების ექსპონატები. აქ ნაჩვენები იქნება ურთიერთკავშირი სოციალისტურ ქვეყნებს შორის და, კერძოდ, ურთიერთობა, კონტაქტები და ტექნიკურ სიახლეთა ურთიერთგაცვლა. სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

სსრ კავშირის ექსპონატები ყველაზე დიდ ტერიტორიას დაიკავებს. საბჭოთა ექსპოზიციაში გაიმლება სპეციალური გამოფენა: „სოციალისტური ინტეგრაცია მოქმედებაში“. მთელი ექსპოზიცია ჩაიყოს დეკემბერში — სსრ კავშირის შექმნის 50 წელი. საბჭოთა ექსპონატებს შორის განლაგდება საქართველოს სსრ ექსპონატებიც.

— მე უკვე მქონდა მეგობრული შეხვედრა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლებთან, რაც ძალიან სასარგებლო იყო. მექნება მთელი რიგი სხვა საქმიანი შეხვედრებიც. და აი, საქართველოს და მის შესაძლებლობებს რომ ვეცნობი, ვფიქრობ, რომ შემდეგ ბაზრობაზე რესპუბლიკა შეძლებს დამოუკიდებელი განყოფილებით წარსდგეს სსრ კავშირის ექსპოზიციაში.

საქართველოში პირველად ჩამოვედი, — თქვა ფ. ვოზნაკმა. — ამისრულდა დიდი ხნის ნატვრა. და დღეს ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ვეცნობოდე მის მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში. ყველგან კეთილად და გულთბილი ღიმილით მეგებებიან. პირადი კონტაქტები ხომ ხალხთა შორის ურთიერთკავშირის გაფართოებასა და გაღრმავებას იწვევს.

თბილისში რომ გაივლი, გრძნობ, თუ რა დიდი ცვლილებები მომხდარა თქვენში ძველსა და ახალს შორის.

ᲕᲛ. ᲒᲘᲜᲑᲐᲠᲒᲘᲡ
ტექსტი და ფოტო.

Ფ. ᲕᲝᲖᲜᲐᲙᲘ.

СССР 50

საბჭოთა რესპუბლიკების თანამეგობრობაში

მოძმე ხალხთა მხარდამხარ

ესტონეთის ხვალინდელი დღე

ი. ბ. კებინი,
ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

□

რვმენ ქვეყნის მთელი პოლიტიკური და შრომითი ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების მთელი პატრიოტული საქმეები ახლა განუყრელად არის დაკავშირებული დიდ დღესასწაულთან — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან. და რაც უფრო ახლოვდება ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, მით უფრო ხშირად და ღრმად ვუფიქრდებით განვლილ ნახევარსუკუნოვან გზას, ამ გზაზე მომხდარი ამბების-მნიშვნელობასა და სასახლის, მის ადგილს კაცობრიობის ისტორიაში. ყოველ ჩვენგანს მკაფიოდ აქვს შეგნებული, რომ განვლილი ნახევარი საუკუნე — ეს არის გმირული ეპოქა, რომელსაც სიღრმითა და მნიშვნელობით ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ეპოქა.

„აბა იგი, წამი სახელმწიფო!“ სრული უფლება აქვს თქვას ყოველი ეროვნების საბჭოთა მოქალაქეს, როცა თვალს გადავლებს მთელი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს, რომელსაც ეწოდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ასეა, რადგან სსრ კავშირი ესტონყელი ერის სახელმწიფოა ისევე, როგორც რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სსრ კავშირის მრავალი სხვა ერის სახელმწიფო. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ესტონელებს, ისევე როგორც რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებსა და სხვა ერებს, აქვთ თავიანთი ეროვნული სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კავშირში შედის, როგორც თანასწორუფლებიანი რესპუბლიკა.

ესტონეთმა, ისევე როგორც ლატვიამ და ლიტვამ, სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გამო, სხვებზე გვიან შეძლო შესულიყო მრავალეროვან საბჭოთა ოჯახში. მაგრამ იმ პერიოდში, როცა 1917-1919 წლებში ჩაისახა ლენინის იდეა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისა, რათა იმპერიალისტური ვარემოცვის პირობებში ახალგაზრდა სოციალისტურ წყობილებას ბაიელო და გაემარჯვნა, უკვე ორსეობდა დამოუკიდებელი ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც მაშინ „ესტლანდის შრომითი კომუნა“ ეწოდებოდა. ესტონეთმა, ჩვენი რესპუბლიკების დიადი თანამეგობრობის ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, მთლიანად გამოსცადა საბჭოთა ხალხების უანგარო მეგობრობის ნაყოფიერი გავლენა. სწორედ ამან მისცა საშუალება უმოკლეს ვადაში შეეშენა დიდად განვითარებული ინდუსტრია, მექანიზებული სოფლის მეურნეობა, გადაეწყვიტა ურთულესი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები. „განვლილ წლებში, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე, — პარტიის ხელმძღვანელობით ახალი ნაბიჯები გადაიდგა თვითეული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების გზაზე. ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა შემდგომი თანდათანობითი დაახლოების გზაზე. ეს დაახლოება მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა, სოციალისტურ ეროვნულ კულტურათა განვითარების გულმოდგინე გათვალისწინების პირობებში. როგორც მთელი ჩვენი კავშირის საერთო ინტერესების, ისევე თვითეული მისი შემადგენელი რესპუბლიკის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება — ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში“.

ჩვენმა რესპუბლიკამ, რომელიც ყოველთვის გრძნობდა, რომ მხარში უდგანან მეგობრები — ქვეყნის მოძმე ერები — 32 წელიწადში განვლო საუკუნის სადარი გზა. საკმარისია თქვას, რომ საბჭოთა ესტონეთი ამჟამად უშვებს თითქმის 30-ჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე 1940 წელს. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზემოხსენებული 32 წლიდან თითქმის 10 წელი მოდის ომის წლებზე, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდზე.

1940 წელს, საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის უკვე პირველ თვეებში, ესტონეთში ზედიზედ მოდიოდნენ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთით სავსე ეშელონები. თავიანთი შრომის ნაყოფს უზიარებდნენ უმცროს ძმას ურალელი და უკრაინელი მეტალურგები, მოსკოველი და ლენინგრადელი მანქანათმშენებლები, უზბეკი და თურქმენი მებამბეები. მაგრამ ბევრის გაკვთება ვერ მოვასწარით. დაიწყო ომი. ისიც, რისი შექმნაც მოვასწარით, განსადგურეს ჰიტლერელებმა.

სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ახლად მოპოვებული თავისუფლებისა და ბედნიერების დასაცავად ყველა საბჭოთა ერთან ერთად ფეხზე დადგა ესტონელი ერიც. ათასობით ესტონელი გმირულად შრომობდა ქვეყნის ზურგში — ურალის ქარხნებში, კუზბასის შახტებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მარადიული დიდებით შემოხვეს თავიანთი სახელი ესტონელმა მეომრებმა რუსული ქალაქების — ველიკიე ლუკის, ნეველისა და ნოვოსოკოლნიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან ერთად ესტონეთის მიწა-წყალს წმენდნენ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან წითელი არმიის ესტონური კორპუსის მეომრები. ბევრ რამეზე მეტყველებს ისიც, რომ ესტონელთა ეროვნული შენაერთები და წითელი არმიის ნაწილები გვარდიული ნაწილები გახდნენ. ომის წლებში ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 21 ათასამდე ესტონელი ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი და პარტიზანი. 13 ესტონელმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის სპპატიო წოდება.

უდიდესი ზარალი მიაყენა რესპუბლიკის ეკონომიკას ომმა და ოკუპაციამ. ჰიტლერელთა პარაპმის შედეგად განადგურდა სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეების 45 პროცენტი. დანგრეული იყო ნარვა, დიდი ზარალი მოუვიდა ტალინსა და ტარტუს, პირუტყვის სულადობა სოფლის მეურნეობაში განახევრდა. ოკუპანტების მიერ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის საერთო თანხამ, არასრული მონაცემებით, 16,2 მილიარდი მანეთი შეადგინა.

თითქოს მრავალი ათეული წელი იყო საჭირო ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად, თუნდაც იმამდელი დონის მისაღწევად. ახლა იქნებოდა, ესტონეთი მარტო რომ ყოფილიყო, რომ არ ჰყოლოდა მოძმე საბჭოთა ხალხები, რომ არ მიეღო მაგან უანგარო დახმარება. იგი იძულებული იქნებოდა დახმარებისათვის მიემართა კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის და კისერზე დაედგა ეკონომიური და პოლიტიკური უღელი, როგორც ეს ბურჟუაზიულ ესტონეთს მოუვიდა ოდესღაც.

საბჭოთა ესტონეთს ეს აღარ მოელოდა. დიდი სამამულო ომის წლების მძიმე განსაცდელმა, საერთო ბრძოლამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ კიდევ უფრო გამოაწრთო საბჭოთა ერების ლენინური მეგობრობა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ეს მეგობრობა ძნელი ომის შემდგომ წლებში. მარტო არასრული მონაცემებით, 1945 წლიდან 1948 წლამდე ესტონეთმა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებისაგან მიიღო 2,6 მილიარდი მანეთის სამრეწველო მოწყობილობა, ნედლეული, მასალები, სასაღსო მოხმარების საქონელი. მეურნეობის მოგვარებაში უდიდეს დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკას მოსკოველი და ლენინგრადელი მეცნიერები, დონბასელი და კუზბასელი სპეციალისტები, ქვეყნის საწარმოთა და მშენებლობათა ნოვატორები. მოძმე რესპუბლიკების კონკრეტულმა დახმარებამ, მუშათა და ინჟინერთა შთაგონებულმა შრომამ, პარტიულ ორგანიზაციათა ტიტანურმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო: უკვე 1946 წელს ესტონეთის რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს 21 პროცენტით გადააჭარბეს.

სოციალისტური მშენებლობის პირველ ეტაპზე ესტონეთს ბევრი არაფრით შეეძლო პასუხი გაეცა მოძმე რესპუბლიკების გულუხვ დახმარებაზე. მაგრამ შემდგომში, ამ დახმარების წყალობით ეკონომიკის განვითარების შემდეგ, მან შეძლო არა მარტო დაკმაყოფილებინა თავისი საჭიროებანი, არამედ სულ უფრო მზარდი რაოდენობით გაეტანა პროდუქცია. ახლა მომძე რესპუბლიკები ესტონეთის სს რესპუბლიკისაგან იღებენ ელექტრონაკეთებს და ელექტრონულ ხელსაწყოებს, რადიოპარატურას, ქაღალდს, ცელულოზას, ავეჯს, მინერალურ სასუქებს, მსუბუქი, კვების, ხორც-რძისა და თევზის მრეწველობის პროდუქციას. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის ენერგოსისტემაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ესტონეთის ელექტროენერგია. თავის მხრივ მომძე რესპუბლიკები გვიგზავნიან სხვადასხვა ჩარხებს, საფეიქრო მოწყობილობას, კომბაინებს, ტრაქტორებს, თევზსაჭერ გემებს, ავტომანქანებს, სახალხო მოხმარების სხვადასხვა საქონელს, როგორიც არის შაქარი, მცენარეული ზეთი, ბრინჯი, მარილი, ჩაი, თამბაქო, სასურსათო მარცვლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვ.

ესტონეთის სს რესპუბლიკის მრეწველობაში წამყვანი ადგილი უკავია მანქანათმშენებლობას, ელექტროენერგეტიკას, ფიქლის მრეწველობას. წლითიწლობით მატულობს რესპუბლიკის წვლილი საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის ვაჭრობის განვითარებაში.

მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის ფიქლის მოხმარება რესპუბლიკაში 6,7 მილიონი ტონით გაიზრდება, ხოლო მისი ხაერთო მოპოვება წელიწადში 29 მილიონ ტონას მიაღწევს. ამ მიზნით მოქმედთა მწყობრში ჩადგებიან ახალი შახტები და ჭრილები, სადაც ფიქლის მოპოვება მთლიანად მექანიზებული იქნება. ესტონელი მაღაროელები უკვე ახლა შეიარაღებული არიან ურთულესი ტექნიკით.

იზრდება და ძლიერდება ესტონეთის ფიქლის აუზი, მშვენდებიან მისი ქალაქები და მუშათა დაბები, ფიქლისა და მისი გადამუშავების პროდუქტებისაგან აწარმოებენ სხვადასხვა შხამქიმიკატებს, ანტისეპტიკებს, ლაქებს, სათრიმლავებს, სადებრებს, ელექტროკოქსსა და სხვა ქიმიურ პროდუქციას. ფიქლისაგან იღებენ საყოფაცხოვრებო გაზსაც. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფიქალს იყენებენ ელექტროსადგურების საწვავად. ესტონელი ხალხის სიამაყეა ბალტიისპირა სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 1,6 მილიონ კილოვატს ჭარბობს. ხუთწლედისათვის მუშაობენ მეორე ენერგეტიკული გიგანტის — ესტონეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მთელი სიმძლავრენი.

საბჭოთა ესტონეთის მშრომელებმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკკპ XXIV ყრილობის წინასწარსასრულობათა საფუძველზე. შეჯიბრება, რომელიც მოსკოველთა და ლენინგრადელთა ინიციატივით დაიწყო ხუთწლედის დაჯილდებათა ვადამდე შესრულებისათვის, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გახდა და ჩინებულ ნაყოფს იძლევა. მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 24 დეკემბრისათვის შეასრულა, ანუ ერთი დღით ადრე, ვიდრე გათვალისწინებული იყო ვალდებულებებით. ამ დროს პროდუქციის მატების 97 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

ახლა საგმირო საქმეთა სიხარულით არის აღსავსე საიუბილეო წლის ყოველი დღე. დიადი დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის საბჭოთა ადამიანებს საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ უწინარეს ყოვლისა ის, რომ იშრომონ გაორკეცებული ენერგიით, თავი არ დაზოგონ ხუთწლედის მეორე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობენ, რომ ეს შრომა ნაყოფიერია, რომ საიუბილეო ვალდებულებანი წარმატებით შესრულდება.

სასიხარულოა, რომ რესპუბლიკის მშრომელებს სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვთ ხუთწლედის თავარი ამოცანის გადაწყვეტაში — უზრუნველყოფა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება წარმოების უფექტიანობის გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

შემთხვევითი როდია ესოდენ დაწვრილებითი ექსკურსი მრეწველობაში. ბურჟუაზიული ესტონეთის სამრეწველო წარმოება მთელი პროდუქციის მხოლოდ მეხუთედს შეადგენდა. ესტონეთის ეკონომიკას მკაფიოდ გამოსატული აგრარული ხასიათი ჰქონდა. საბჭოთა ესტონეთში სამრეწველო პროდუქცია უკვე წარმოების სამ მეოთხედს შეადგენს, მაშასადამე, რესპუბლიკის ხასეს უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს მრეწველობა.

ესტონელ მიწათმოქმედს არასოდეს არ ანებივრებდა მიწა. მისი მარადიული მტრები იყვნენ ქვა და ჭაობი. ბურჟუაზიულ ესტონეთში მარცვლეულის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 11 ცენტნერს შეადგენდა. ღარიბი გლეხისათვის კი ესეც მიუღწეველი იყო. თავიანთ პატარა მიწის ნაკვეთებზე ისინი 5-7 ცენტნერს იღებდნენ.

დღევანდელი ესტონური საკოლმეურნეო სოფლისათვის დამახასიათებელია გადაგმული ხოლბუნები, ტრაქტორებისა და სხვა მანქანების გუგუნი. წარსულს ჩაბარდა ქვის მიჯნები. დღეს ჩვენს სოფლის მეურნეობას — მიწათმოქმედებასაც და მეცხოველეობასაც — ხაფუძვლად უდევს თანამედროვე ტექნიკა. და შემთხვევითი როდია, რომ ესტონეთის სოფლის მეურნეობაში ახლა დასაქმებულია სამჯერ ნაკლები ხალხი, ვიდრე 1939 წელს, ხოლო შრომის ნაყოფიერება ოთხჯერ გაიზარდა. ახლა ერთნახევარჯერ მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ვაწარმოებთ. შრომის ნაყოფიერების ასეთი ზრდა იმის შედეგია, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რომელსაც გულუხვად გვიგზავნიან მოძმე რესპუბლიკები. ესტონეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ 28 ათასამდე ტრაქტორი (15 ძალიანზე გადაანგარიშებით), 4.000-ზე მეტი სამარცვლე და სასეოსლე კომბაინი, 10 ათასამდე სატვირთო ავტომანქანა. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა კიდევ უფრო გაიზრდება მეცხრე ხუთწლედში.

გვაბარებს უხვი მოსავალი, რომელსაც ესტონელის მიწაზე იღებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. შარშან მარცვლეულის მოსავალმა შეადგინა ჰექტარზე 26,8 ცენტნერი, კარტოფილისამ — ჰექტარზე 182 ცენტნერი, სიხტემატურად გადაჭარბებით სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო დავალებანი.

ისევე როგორც მრეწველობაში, დღე არ გაივლის, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში გამოცდილების მისაღებად არ ჩამოვიდნენ ლენინგრადისა და ფსკოვის ოლქების, ხელოვნურისისა და ურალინის მხვნელ-მთესველები, მეცხოველეები და მექანიზატორები. ასევე პირიქით, დღე არ გავა, რომ ესტონეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები არ იხილონენ მოძმე რესპუბლიკათა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნოვატორთა შესანიშნავ გამოცდილებას. ერთმანეთის გამდიდრება გამოცდილებით, საჭირბოროტო საქმეების ერთად გადაწყვეტისადმი მისწრაფება, ერთმანეთისათვის დახმარების გაწევის სურვილი ხელს უწყობს უკეთესი შედეგების მოპოვებას და ასეა ყველაფერში — ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში.

სულ ახლახან სიმღერის მინდორზე ტალინში საზეიმოდ და დიდებულად აღიერდა სიმღერა პარტიაზე, რომელიც შეასრულა გუნდების სრულიად საკავშირო ფესტივალის მონაწილეთა გაერთიანებულმა გუნდმა. ეს მონაწილენი ჩამოვიდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან, აგრეთვე მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნებიდან. ჩვენს მეხსიერებაში დიდხანს დარჩება რესპუბლიკის მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულის სასიხარულო დღეები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ბავშვებმა. ეს მხოლოდ ორი უკანასკნელი მაგალითია ჩვენი ურთიერთობისა, ურთიერთგადაგლეშისა, რომელიც სრულიადაც არ აფერხებს სსრ კავშირის არც ერთი ერის კულტურის განვითარებას. პირიქით, სწორედ ასეთ ურთიერთობაშია თვითეული სოციალისტური ერის კულტურის აყვავების დაუშრეტელი შესაძლებლობანი.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად გაბადა კულტურის ყვავილა მიღწევა ხალხის კუთვნილებად. სოციალისტური წყობილების დროს კულტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მისი მასობრივობა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ხალხის განათლების ზრდით ვლინდება. ესტონეთის უმაღლესი სასწავლებლები სულ უფრო მეტ სპეციალისტს უშვებენ. რესპუბლიკაში უკვე 1968 წელს 8.4-ჯერ მეტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი და 6,2-ჯერ მეტი საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი იყო, ვიდრე ომამდე.

ესტონელ მეცნიერთა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ფართო აღიარება პოვა ჩვენს სამშობლოში. რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობს 100-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და ათას ხუთასამდე მეცნიერებათა კანდიდატი.

ესტონური მხატვრული ლიტერატურა პოპულარული გახდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში რუსულ ენასა და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე თარგმნის წყალობით. საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შეეტანა ესტონელ მწერალთა ნაწარმოებები — იუსან სმუელას, იოჰანეს სიმპერის, აუგუსტ იაკობსონის, რუდოლფ სირგეს, ჰანს ლიბერეხტის, აადუ ხინტის, ეგონ რანტისა და სხვათა ნაწარმოებები. არნახულად აყვავდა რესპუბლიკაში მუსიკა, თეატრები და სახვითი ხელოვნება.

ახლოვდება მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაული — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი. ახლა, როცა ვაჯამებთ დაგროვილი ცხოვრების გამოცდილების შედეგებს, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ რწმუნდება, თუ რა დიდი ნაყოფი გამოიღო მათმა შეკავშირებამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, რაოდენ ფართო პერსპექტივებს უსახავს იგი მომავალში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ადგას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების ლენინურ კურსს, დღენიადაგ ზრუნავს ყველა ერის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, თანმიმდევრულად იღწვის ყველა სოციალისტური ერის შემდგომი აყვავებისა და მათი თანდათანობითი დაახლოებისათვის.

ერთიან მწყობრში მოძმე ერების მხარდამხარ მიაბიჯებს საერთო მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ, თანასწორთა შორის თანასწორი ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. და ყოველი ჩვენგანი — მუშა თუ კოლმეურნე, მეცნიერი თუ ხელოვანი ცდილობს რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საერთო-სახალხო საქმეში. ხუთწლედისათვის ბრძოლაში მას აღაფრთოვანებს ლენინის სატოვანი გამოთქმა: ვიაროთ უთუოდ წინ, ვიღვწოდეთ უთუოდ მეტისათვის! (საკდესი).

ტალინი დღეს



ტალინი. მარცხნივ — ოპერისა და ბალეტის თეატრი „ესტონია“, მარჯვნივ — ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი შენობა.

ბ. კუზნეცოვის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საკოლმეურნეო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხები

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს სხდომა

კოლმეურნეობათა საბჭოები საკოლმეურნეო ცხოვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხთა კოლექტიური განხილვის ახალი ფორმაა. ისინი შეიქმნა კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დადგენილების შესაბამისად.

რა არის მთავარი საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს მუშაობაში?

საგულისხმოა ის აქტუალური საკითხები, რომლებიც 5 აგვისტოს განხილა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ. სხდომაზე მოიწვიეს სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების, სასოფლო მშენებლობის სამინისტროების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის სამმართველოს, რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარის, სოფლის მეურნეობის მინისტრის ი. რთველიაშვილის მოხსენება კოლმეურნეობათა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციათა 1971 წლის საწარმოო-საფინანსო საქმიანობისა და ხუთწლედის მეორე წლის გეგმების წარმატებით შესრულების ამოცანების შესახებ;

კოლმეურნეობათა საბჭოს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სექციის ხელმძღვანელის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ პ. ყელენტის მოხსენება მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ;

აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარის, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის ო. ანჯნიძის მოხსენება ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მუშაობის შესახებ;

კოლმეურნეობათა საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის დ. მანწყავას მოხსენება კოლმეურნეობათა წევრებისათვის პერსონალური პენსიის დანიშვნისა და გადახდის შესახებ;

კოლმეურნეობათა საბჭოს წევრის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის გ. კვაკაძის მოხსენება კოლმეურნეთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ვ. სანაკოძის მოხსენება გურჯაანის, ჭარელის, ორჯონიკიძისა და მაიაკოვსკის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში წესდების უხეში დარღვევების შესახებ.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი. (საქინფორმი).

მსოფლიო ლღეკოვნი

ინდირა განდის ინტერვიუ

დელი, 5 აგვისტო. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ 9 აგვისტოს სრულდება საბჭოთა-კავშირ ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების პირველი წლისთავი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას საფუძვლად უდევს ის, რომ ისინი მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრენი არიან, ერთნაირი შეხედულება აქვთ კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის შესახებ. სწამთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლოა, აგრეთვე მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის კლიმატის გავრცელებას.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც შარშან დაგდეთ, ასახავს ორი ქვეყნის მტკიცე მეგობრობას და მზარდ თანამშრომლობას, იგი განასახიერებს ჩვენს პოზიტიურ პოზიციებს და პოლიტიკას. რომელიც ითვალისწინებს მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენი ეკონომიური და სოციალური განვითარება გვაძლევს დიდ შესაძლებლობებს გავიფართოოთ ვაჭრობა და კულტურული გაცვლა საბჭოთა კავშირთან. ხელშეკრულება გვისახავს ამ ამოცანების შესრულების პერსპექტივებს.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ საბჭოთა ხალხს. ხელშეკრულების დადების პირველ წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც ემთხვევა ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის 25 წლისთავს, მსურვალედ მივესალმები საბჭოთა კავშირის მთავრობას და ხალხს. ეშვიც არ მეპარება, რომ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა განუხრელად განმტკიცდება და სასარგებლო იქნება აგრეთვე მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის“.

მთავრობის თხოვნით

უარაჩი, 5 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის მთავრობის თხოვნით პაკისტანის სამხედრო ხომალდები და თვითმფრინავები ინდოეთის ოკეანეში ეძებენ ინდოეთის სავაჭრო გემს „დამოდარ მანდოვის“, რომელსაც უბედურება შეემთხვა ყარაჩიდან დაახლოებით 200 მილზე.

ეს გემი სპარსეთის ყურიდან ბომბეიში მიდიოდა. რადიოკავშირი მასთან ჯერჯერობით არ არის დამყარებული, გვაცყობინებს გაზეთი „დოონი“.

გაძევება მთავრობიდან

ლუსაკა, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც ბლანტაირიდან იუწყებიან, მალავის დიქტატორმა ხესტინგს ბანდამ მმართველი პარტია მალავის კონგრესიდან გარიცხა და მთავრობიდან გაადევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი ჯონ გვენგვა. ეს პირველი მინისტრი როდია, რომელიც შეირისხა ასლანდელმა დიქტატორულმა რეჟიმმა. ერთ დროს მალავის მთავრობის მინისტრთა ჯგუფი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო მეზობელ ქვეყნებში, რათა თავი დაეღწია ხ. ბანდისა და მისი პოლიციის დევნისაგან. ეს მინისტრები არ ეთანხმებოდნენ პრეზიდენტის კურსს, რომელიც დაადგა სამხრეთ-აფრიკელ რასისტებთან აშკარა თანამშრომლობის გზას და არ ხურს დახმარება გაუწიოს განმთავისუფლებელ მოძრაობებს სამხრეთ აფრიკის დამოკიდებულ ტერიტორიებზე.

დევნიან კინომსახიობს

ვაშინგტონი, 5 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. როზანოვი გვატყობინებს: შეერთებული შტატების რეაქციული ძალები განაგრძობენ ცნობილი ამერიკელი კინომსახიობისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ჭეინ ფონდას დევნის კამპანიას.

მაგალითად, კონგრესმენმა ფლეტჩერ კომპსონმა (რესპუბლიკელი, ჯორჯიის შტატი) განაცხადა, რომ წარმომადგენელთა პალატის შინაგანი უშიშროების საკითხთა კომისიას განზრახული აქვს გამოიძახოს ჯ. ფონდა დასაკითხად იმასთან დაკავშირებით, რომ იგი გამოვიდა ჰანოის რადიოთი.

როგორც ვიუწყებოდით, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჯ. ფონდამ რადიოთი მოუწოდა ამერიკელ მფრინაველებს შეეწყვიტათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა.

შემდეგ ჰანოიში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მსახიობმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები ბომბებს უმიზნებდნენ არა სამხედრო ობიექტებს, არამედ სკოლებს, საავადმყოფოებს, ჭირხნებს, საირიგაციო ნაგებობებს.

მსახიობის ომის საწინააღმდეგო საქმიანობამ გამძვინვარა კონგრესმენი ტომპსონი, რომელმაც მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ ჯ. ფონდას ბრალად დასდოს „სახელმწიფო ღალატი“. კონგრესმენი ავრეთვე დაჟინებით მოითხოვს, რომ წარმომადგენელთა პალატის შინაგანი უშიშროების საკითხთა კომისიამ განაახლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის მოწინააღმდეგეთა ძირგამომთხრელი საქმიანობის გამოძიება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტომპსონი მოუწოდებს, რომ დაიწყოს „კუდიანებზე ნადირობის“ ახალი კამპანია, ანუ დაუბრუნდნენ მაკარტიზმის შავბნელ პერიოდს ამერიკის ისტორიაში.

ნამუშევარ ცნეს

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). არტურ ბრემერი დამნაშავედ ცნეს, რომ თავს დაესხა ალაბამის შტატის გუბერნატორს ჯორჯ უოლეისს. მას მიუსაჯეს 63 წლის პატიმრობა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბრემერმა რამდენჯერმე ესროლა უოლეისს და მძიმედ დაჭრა იგი მიმდინარე წლის მაისში ქალაქ ლორელში (მერილენდის შტატი) გამართული მატნგის დროს.

უოლეისი, რომელსაც ხურდა დემოკრატიული პარტიისაგან თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა პრეზიდენტის პოსტზე, დაჭრის შემდეგ იძულებული გახდა უარი ეთქვა წინასაარჩევნო ბრძოლაზე.

ოკუპანტები მანევრებს მიმართავენ

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). მარტო ამ ბოლო დღეღამეში ბომბების აფეთქებისა და ინცლისის ჯარებსა და ირლანდიელთა შორის ატეხილი სროლის შედეგად ოლსტერში დაიღუპა ორი და დაიჭრა ექვსი კაცი.

ინგლისის არმია, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების კათოლიკური ტეტრები, განაგრძობს მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებას.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა სანფრანცისკოს სამხედრო აკადემიაში განაცხადა, ინგლისის ჯარების მიერ კათოლიკური რაიონების ოკუპაციამ „ცხადყო მათი პროფესიული

ვიცავდეთ დედაქალაქის ღირსებას

გაზეთ „კომუნისტის“ 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული კოლექტიური წერილი „თბილისელთა ღირსების სარმე“ რომ წავიკითხე, ჩემს წინაშე იმ წამსვე დაიბადა კითხვა, რომორ იცავს და უნდა იცავდეს ამ ღირსებას მოსახალხო ახალგაზრდობა. ამ კითხვაზე ერთგვარ პასუხს წარმოადგენს ეს წერილიც.

კარგად არის ცნობილი, რომ საკუთარი სახლის, ოჯახისა და კარმიდამოს. საკუთარი ჭუჭის, სოფლისა თუ ქალაქის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა თანშობილი არ არის და არც შეიძლება იყოს. მეორე მხრივ, არანაკლებ ცნობილია ისიც, რომ ამ სიყვარულს მითითების. რჩევა-დარიგების მეშვეობით ვერ ჩაუნერგავ ბავშვს.

ისე როგორც შეუძლებელია ზუსტად გაითვალისწინოთ და გაბყვეთ იმ გზას, თუ როგორ ძალდატანებულად გადადის ბავშვი დაუნაწევრე ბ ე ლ ი ბგერებიდან, მტრედის ღუღუნს რომ ბგავს, გამართულ მეტყველებაზე, ისიც შეუძლებელია ზუსტად გაარკვიოთ თუ როგორ ინერგება შინაგანად ბავშვში მამის, დედის, ძმების, დების სიყვარულთან ერთად მახლობელი ბარემოს სიყვარული.

ერთი რამ კი მაინც ცხადი და ნათელია: ენასაც და ამ სიყვარულსაც ბავშვი პირველად დედის მკერდზე, დედის კალთაში, დედის მუხლებთან სწავლობს, არა, კი არ სწავლობს, უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა — ითხსოვრობს.

არა მარტო ადამიანების, არამედ ბარემო საგნებისადმი სწორი დამოკიდებულების კულტურა, პირველყოვლისა ოჯახის კულტურაა და იგი უამრავი, დაუთვლელი ფაქიზი ძაფებისა და სიმებისაგან შედგება. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ოჯახმა მეტი, ბევრად მეტი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ ამ დამოკიდებულების საძირკველი სწორად იქნას ჩაჩენილი. ამასთან ერთად მთავარია ცნობიერად იცოდე რატომ უნდა გიყვარდეს და რატომ გიყვარს.

ბავშვის ფანტაზია მხოლოდ იმ შებალემ იცის, ვინც საფუძვლიანად იცნობს არა მარტო მის ღერის, ტოტებსა და ფოთლებს, არამედ მისი ძირისა და ფესვების დანშნულებაშიც კარგად არის გარკვეული. თავისი ქალაქის ღრმა სიყვარულით მას შეუძლია იამაყოს, ვისაც მისი ფესვები, მისი ძირი ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლია.

ჩვენ გვახარებს ჩვენი მზიანი ქალაქის დილა, ზურმუხტოვანი და მუქლურჯი მთები, ტერასებად რომ შემორტყმიან ვარს ჩვენს უძველეს და მარად ახალ დედაქალაქს, მისი ჭუჭრები, მძლავრი ჭადრები და მოშრიალე ვერხვები, მისი რუსთაველის გამზირი, ილიას, აკაკის, ვაჟას პროსპექტები, ჩაფეჩრებული მთაწმინდა და ფუნიკულორი, მისი დიდი ინდუსტრიული და კულტურული პოტენციალი — მძლავრი ელმავლები, პირველხარისხოვანი დაზგები, მუზეუმები, თეატრები, კულტურის შენანიშნავი კერები.

ეუცილებელია სკოლებში მუშაობა იმ მიმართულებით განვითარდეს, რომ უფროსი კლასებიან ყოველმა მოსწავლემ არა მარტო ნახოს თბილისის ისტორიული და თანამედროვე ღირსშენანიშნაობანი, არამედ კარგად შეისწავლოს ისინი — ეი ახე მკაფიოდ და მკვეთრად უნდა დაისვას სკოლების წინაშე ამოცანა და მისი განხორციელება პედაგოგიური კოლექტივების საპატიო საქმედ უნდა იქცეს. ამეიმად, როცა სკოლებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში სპეციალურად არის დაწესებული ორგანიზატორის შტატი, ამ საქმის სწორად მოგვარება არ უნდა გაგვიჭირდეს.

ძალიან მოსაწონია რესპუბლიკის მოსწავლეთა ცენტრალური ტურისტული სადგურის ინიციატივა, რაც იმით გამოიხატება, რომ სადგურმა შემოიკრიბა და ახლობით აღზარდა ბავშვები, რომლებმაც დედაქალაქი კარგად იციან. ბევრი მათგანი ისეა დაოსტატებული დედაქალაქის ღირსშენანიშნაობათა ცოდნაში, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ თანატოლებს თანმიმდევრულად და საქმის ღრმა ცოდნით მოუთხრობს თბილისის წარსულის, აწმყოსა და მომავალი პერსპექტივების შესახებ.

ამასთან ერთად, მთავარია ისიც, რომ ჩვენი დედაქალაქის სიყვარული იყოს გზა და ხიდი ჩვენს მომავალ ახალგაზრდებს და მათი სახელოვანი ქალაქებისადმი სიყვარულისა და პატივისცემისა. ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობაა დედაქალაქის მრავალ სკოლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის საქმიანობა, რასაც ამ მიმართულებით ეწევა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახალხო ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი. რუს, უკრაინელ, ბელორუს, უზბეკ, აზერბაიჯანელ, სომეხ და საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ერების ნორჩებთან ჩვენი ბავშვების მიმოწერა და მათი პირადი შეხვედრები ნათლად ადასტურებენ, თუ რა ღრმად ესმით ჩვენს ბავშვებს ინტერნაციონალური მეგობრობა, რა დიდი პატივისცემით არიან ისინი გამსჭვალული ყველა იმ საუნჯისადმი, რაც საბჭოთა კავშირის ხალხებს შეუქმნიათ და ასე ამშვენებს მათაც და ჩვენც.

ჩვენი ვალია შეუნელებლივ ვამრავლოთ ჩვენი ქალაქის შეგნებული ნორჩი პატრიოტების რიგები. ასეთი უნდა იყოს ჩვენი პასუხი კეთილშობილურ მოწოდებაზე — გიყვარდეთ თქვენი ქალაქი — და ეს პასუხი საქმედ უნდა ვაქციოთ.

უშ. ოგოლაძე.

ცელოვნების ამგეები

□ **ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). რაიონის კულტურის სახლში კონცერტი გამართეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მომღერლებმა შ. კიკნაძემ, თ. ზაალიშვილმა, ზ. სოტკილავამ, პ. თომაძემ, მ. დონაძემ, ე. ანდრონიკაშვილმა, ნ. მკერვალიძემ, ლ. ტატიშვილმა, რ. კაკაბაძემ და სხვებმა.

დამსწრენი მოიხიბლნენ ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ი. კობრაძეთელის, ო. თაქთაქიშვილის, ვ. დოლაძის, ს. მირიანაშვილის ოპერების არიებითა და რომანსებით, შესრულდა უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

მოწონებით შეხვდნენ აგრეთვე გ. და რ. აბაშიძეების, ა. ბოლტენკოვასა და პ. ჩხარტიშვილის ცეკვებს ბალეტებიდან.

□ **ლაგოდეხის** სახალხო თეატრმა ამ დღეებში წარმოადგინა ახალი სპექტაკლი ო. დგებუაძისა და გრ. ბერძენიშვილის სამმოქმედებიანი დრამა „ხიმართლისათვის“. სპექტაკლი დადგა კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ვ. თანდაშვილმა, მხატვრულად გაფორმა ან. დუნდუკოვმა, მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. ჩარიანაშვილს. სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ მ. და ვ. თანდაშვილები, ი. ქარსელაძე, ო. ზედელაშვილი, ც. თურმანიძე და სხვები.

ლაგოდეხელმა მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

მ. გოგოლაშვილი.

□ **ლენტეხი** (საკ. კორ.). ამ რამდენიმე ხნის წინათ რაიონის კულტურის სასლის საკონცერტო ბრიგადა ცანელ და ყორულდაშელ მეცხოველეობის ეწვია და მათთვის სასტრეფო კონცერტები გამართა. შესრულა ხვანური და ქართული სიმღერები „შირანგულა“, „ილიკო გაბლიანი“, „მწყემსური“, „თვალები რომ მომანათე“ და სხვ. წარმოდგენილ იქნა ნ. დუმბაძის იუმორისტული მოთხრობის „ქელეხის“ ინსცენირება და სკეტჩები.

საკონცერტო ბრიგადას განსრასული აქვს თავისი შემოქმედება უჩვენოს საზაფხულო იალაღებზე მყოფ ფერმის მწყემსებსა და მწველავებს.

ახალი ლექსები

ხუტა ბერძენიშვილი

□ ჰოეტები

ჰოეტებს ოდესლაც რქმევიათ მხედრება,
რქმევიათ მოძღვრები, ფრთოსნები, ღმერთები;

ჰოეტებს ოდესლაც რქმევიათ მოგვები,
რქმევიათ დროშები და ციხე-კოშკები;

და ვითარც კოშკები, და ვითარც დროშები,
და ვითარც მოძღვრები, და ვითარც ფრთოსნები,

იცავდნენ სამშობლოს წარსულს და ხვალისდღეს,
საყვარელ სახელებს და ძვირფას თარიღებს...

ცხოვრობდნენ, იწვოდნენ, ფიქრობდნენ, ფიცწობდნენ
და ყადრი ნამდვილი ძმობისა იცოდნენ.

ერთმანეთს უსმენდნენ, ვით მხედრებს — მხედრები,
ვით მოგვებს — მოგვები და ღმერთებს — ღმერთები.

თბებოდნენ მამულზე ლოცვით და ოცნებით,
... არც როდის კვდებოდნენ ახეთი მგოსნები!

□ დიმიტროვის ქუჩა

— დიმიტროვი... დიმიტროვი...
თუმცა სცდიდა ავი ბედი,
დღეს მოსკოვი იკრავს გულში
და შეჰყურებს თვალი
დედის! —

ამ სიმღერით მიესალმა
საქართველოს კუთხე ძველი,
როგორც მთები როდოპისა
ჯვარცმული და უძღეველი.

ამ სიმღერით ჩონგურებმა
მიულოცეს გადარჩენა,
ვისაც ერთხელ უნებურად
ამა უწოდა მამაჩემმა.

დიმიტროვი... დიმიტროვი...
ვღიღინებდით სხვათა კართან
და ზუდიდმაც ახალ ქუჩას
ეს სახელი დანათლა.

იმ ქუჩაზე დავდიოდი,
როგორც ბევრი თანატოლი,
ვმღერიოდით და ვადიდებდით
გამარჯვებულს, განა
ლტოლვილს.

ალბათ მაშინ დაიბადა
ეს ფიქრი და სხვა მრავალი...
მე იმ ქუჩის და ზუგდიდის
სამუდამო დამრჩა ვალი!

დიმიტროვი... დიმიტროვი...
გმირის გვარი, ვით ლეგენდა,
დაუდგრომელ ჩემს ოცნებებს
ჩაუკრობელ სხივებს ჰფენდა.

ხად როდოპის მწვერვალები
და სად კიდეე ჩემი კერა,
მაგრამ ხსოვნა დღეთა მწველთა
დამდევს როგორც ბედისწერა;

დამდევს, მიხმობს
განუწყვეტელ
და ხიხარულს მინაწილებს.
ო, რამდენი შუქი ჰქონდა
ჩემს ბობოკარ სიცმაწვილეს!

დიმიტროვი... დიმიტროვი...
იმფრობს ახლაც გული
და ფრთებს ისხამს შთაგონება,
ვით კოლხეთის გაზაფხული.

□ ქვეობის დღეები

ზული, მზიანი ქალაქი ზული,
განათებული ზეცა იისფრად,
ტიურინგიის მფეთქავი გული,
ბურჯი ახალი გერმანიისა,

ზული, სვიანი ქალაქი ზული,
მეგობრობის და ძმობის დღეები,
მთათა კალთებზე გადაჭიმული
ხეივნები და ხშირი ტყეები.

ზული, ფრთიანი ქალაქი ზული
თუმცა მშობლიურ ზღვისპირეთს არ ჰგავს,
სიმწვანე ირგვლივ ზღვასავით უვლის,
ვითარცა სობუმს, ვითარცა გაგრას,

ზული, მზიანი ქალაქი ზული,
აელვებული ზეცა იისფრად,
ტიურინგიის ამაყი გული,
ბურჯი ახალი გერმანიისა!

□ იაკობ გოგებაშვილი

ამ კეთილმა ძიაკაცმა
გვისახსოვრა „დედაენა“.
პატარების ერიამული
იყო მისი შვება-ლხენა.

ნორჩ გულებში ჩაგვისატა
საქართველოს ცა და მიწა,
დედაენა გიყვარდეთო,
როგორც შვილებს, დაგვაფიცა.

□ კოლხური მელოდიები

ვარდმა თქვა: — ჩემი ის არი,
ვინც მოვა, კრძალვით დამყნოსავს,
ვინც სილამაზეს შენატრის,
როგორც დილის მზის ამოსვლას;

ვინც ხელს არ მახლებს, არ მომწყვეტს,
არ შემიმოკლებს სიცოცხლეს,
დატბება ჩემი სიტურფით
და სიყვარულზე ილოცებს!

• • •

ნეტავ ისეთი ბედის მქნა,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს:

ვიყო ისეთი წერილი,
კითხულობდე და ტკბებოდე,
ვიყო შენივე აჩრდილი,
სირბილში გეჯიბრებოდე;

ვიყო დღე ისე მზიანი,
აროდეს დავდამდებოდე,
ვიყო ისეთი სანთელი,
შენს წინ ცრემლებად ვდნებოდე;

დაკროლილ თხილად მაქცია, —
კალთაში ჩაგეყრებოდე,
კოხტა ფეხსაცმლად მაქცია,
რომ ზედ ქუსლებით დგებოდე;

ფერ-უმარილად მაქცია, —
ლაწვებზე წაგეცხებოდე,
შენს ყურთბალიშად მაქცია,
რომ შენი ცეცხლით ვთბებოდე.

ნეტავ ისეთი ბედის მქნა,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს...

სიკვდილის ლაქმაგუნვილი

სერგი ჭილაია დაამთავრა ახალი წიგნი „ვე და ჩემი პროფესორი“. ვბეჭდავთ მეორე ნაწილის ერთ ქრონიკას. ამ ქრონიკის გმირები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ყოფილ ი სტუდენტები და ახლანდელ ტები; ამ ადამიანების თავდადებული შრომა და პატრიოტიზმი, სამამულო ომში გამოჩენილი გმირობა არის ამ ქრონიკების მთავარი პათოსი.

სერგი ჭილაია

1.

ჩვენი სახლის უკან მთა იყო აყდებული.

მთის თხემზე იდგა ციხე—ნათურქუჯიხა. ქვითა და კირით ნაგები 7-ოდ მეტრის სიმაღლისაა. იგი დანგრეული ქონგურებით, მიგნითა დიდი მოედნით, გარს შემოვლებული გალავნით ვეებერთელა ციხე-სიმაგრის შთაბეჭდილებას ახდენს. ერთ მხარეს შერჩენია მაღალი კოშკი. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი სამეგრელო და იმერეთი, რიონისა და ცხენისწყლის ხეობა. შორიდან დაძრულ მტერს შენიშნავდნენ თუ არა, ამ კოშკზე ჯოჯონს აანთებდნენ და მთელი მთიანეთი ფეზზე დგებოდა, ციხე-სიმაგრე სამარ ბანაკად იქცეოდა. ეს ციხე მკვიდრად და დიდხანს იცავდა ჩვენს მამულს. ჩვენს მხარეს.

საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი იქ, ნათურქ ჯიხასთან შეკვიცანით და ლეგენდაც იქვე დამთავრდა, თუმცა ლეგენდების, ზღაპრებისა და მითების ჯადოსნური წრე არ მთავრდებოდა. იქნებ იმიტომ, რომ ჩვენ სადღაც დიდ მოეცსა და დაბლობს შუა გაჩხირულ მთის ბორცვზე ციხეორობდით, ჩემს სოფელს ლეგენდებისა და ზღაპრების ნისლი ეფარა...

მერე ლეგენდების ნისლით გაქცენთილი ჩვენი სული ერთბაშად შარხა ხელამ და რევოლუციის პირველი დღეების რომანტიკამ. შარხია და მიწას დაბერტყა. ზეციდან ძირს ჩამოვარდით და მიწით ვისუნთქეთ. სკოლაში ბიჭებმა კომკავშირში ჩვენ ათვისტებად გვზრდიდნენ და სულ მალე თავი დავაღწიეთ ლეგენდებისა და ზღაპრების ლაციას. რევოლუციის მიერ ადადასნულ მიწაზე დაცემული ლეგენდების ბუშტი გასკდა და ჰაერში დაიბნა. ლეგენდებით მთგრალი ბავშვობა რევოლუციამ და სკოლამ რწმენით, იმედით, რევოლუციური სიმღერებით გაგვიხალისა.

ნახუნაოს მთიებმა და ლეგენდებმა რევოლუციას დაუთმო ადგილი. რომელმაც ეს ქალამნებიანი გლეხის შვილები სკოლებში შერეკა და მათი დაუსარჯავი ენერგია ნიჭი ერის სამსახურში ჩაადინა ეს იყო რევოლუციის მიერ მოტანილი აუწონავი სიკეთე და ბედნიერება. მეც სამუალო სკოლა დავამთავრე და ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში შევიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი ძმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტი გახდა.

1941 წლის ზაფხულს ომი დაიწყო და იგი ფრონტზე წაიყვანეს. მას შეეძლო ავადმყოფობის მიზეზით თავი აარიდებინა ომისათვის მაგრამ, პირიქით იგი პირველი ვამოსახადად და უნივერსიტეტის იმ 49 კომკავშირელში ერია რომლებიც დიდი ამბით გაგზავნილნ უნივერსიტეტელებმა.

პირველი წერილი ნალჩიკიდან მოიწერა. მოკლედ გვატყობინებდა, კარგად ვარო. მეორე წერილი ხარკოვიდან მოვიდა. მერე ერთხანს არ ჩანდა წერილები. 1942 წელს სტალინგრადიდან იწერებოდა: საშინელი ამბები ტრიალებს ჩვენს თავზე, მაგრამ არაფრისა შეგეშინდეთ, მჯერა, რომ შემდეგ წერილს ბერლინიდან მოგწერთო, თვითონვე გვაიმედებდა. მერე ისევ შეწყდა წერილები. მართლაც, სულ ბოლო წერილები ბერლინიდან მოიწერა. გვწერდა, ავასრულე ჩემი სიტყვა, ბერლინიდან ვგზავნი ამ ბარათსო. აფ დღეში ომი დამთავრდა. იმ თვის ბოლოს კი შინ გამარჯვებული დაგვიბრუნდა ჩვენი დათო. მაიორის ფორმა ეცვა, ძლივს ვიცანი. უფრო მაღალი და გამხდარი მეჩვენა.

ქვეყანა გამარჯვებას ზეიმობდა, ომის მძიმე ჭრილობებს იშუამდა.

— კარგია, რომ ომმა მომისწრო, თორემ ჩემს მეორე წილსაც ვერ გავიდებდი ჩემი ქვეყნისათვის. მე ახლა ემაყოფილი იმით ვარ, რომ სრული ოთხი წელი ვიოში ჩემი ქვეყნის. ჩემი სამშობლოს, ჩემი რწმენის დასაცავად. დავიცავით კიდეც. პირველად ყვებოდა ასე გულდაგულ ჩემი ძმა ომის ამბებს. აქ შეჩერდა. მერე თითქოს რაღაცა მოაგონდაო და ისევ განაგრძო.

— არა, ამ ომმა, რომლის მონაწილე მე ვიყავი, სხვა ბევრი რამეც გამოამეძღავნა. მათ შორის ისინიც გამოავლინა, ვისაც ზურეულ რწმენა ჰქონდა. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ისინი იყვნენ, ვინც რწმენით იცავდა ჩვენს მამულს, ჩვენს სამშობლოს. ჩვენს მიწა-წყალს. დიახ, ქართველი კაცი კავკასიაშიც, უკრაინაშიც და ბელორუსიაშიც თავის მამულს იცავდა, რადგან იქ ყველგან საქართველოს კარი ეკიდა. როდესაც ჩვენი დიდი სამშობლოს საზღვარი გადმოლახეს და საქართველოს კარი რომ არ ჩამოეხსნათ, უნდა დაგვეცვა ჩვენი მამულის საერთო კარი. მტერი მოიწევდა ჩვენს დასაცავად და ჩვენც რწმენით ვომობდით ყველგან, სადაც ფრონტი იყო. თავს ვიცავდით და ამიტომ სამართლიანი იყო ჩვენი ომი.

აქ ისევ შეისვენა. იგი უკვე მძიმედ ავად გეგონდა.

— ფრონტზე რა ჯურის ადამიანს არ შეხვდები, რა ფათერაკს არ გადაეყრები. მაგრამ მე ახლა სულ სხვა შემთხვევა მახსენდება. გუშინ გივი ბერიძანაძემ რომ მნახა, ხომ იცი, ჰო ჩემი უნივერსიტეტელი ამხანაგია. ფრონტზედაც ერთად ვიბრძოდით. მაიორის ჩინს მიაღწია. კარგი ბიჭი იყო. დიახ, იყო!..

იმ ბერძენაძემ ჩვენ მიერ გათავისუფლებულ ერთს ქალაქში ვიღაც გრაფინია გაიჩინა საყვარლად და მისი მეშვეობით ნაოხარ და უპატრონოდ მიტოვებულ როიალებს აგროვებდა და შინ გზავნიდა. ამის შემდეგ შემძაგდა ის, მართალი გითხრათ. ეს რომ გაუგეს, პარტიიდან გარიცხეს. ახლა ისე ყოყლოჩინა მამალივითა იფიორება, თითქოსდა არაფერი მომხდარაო.

ადამიანს აქვს რაღაც ზღვარი მატერიალური ცხოვრებისა. თუ ეს ზღვარი გადალახა, მერე მისი მობრუნება და გაჩერება არავის შეუძლია, ღორად, გაუმაძღარ ღორად იქცევა. ეს ზღვარს გადასული ადამიანები ივიწყებენ იდეასაც, ძმასაც, მეგობრასაც და ეროსტარად ეერძო მისაკუთრე მეშჩანად იქცევიან ყველაზე უფრო მე ასეთი ადამიანები მეჯავრებიან

— ჭინჭების მონები. ჩვენს გარემოში აღზრდილი ადამიანი, ჩვენი მორალის კაეი თუ ნივთებს გამოეკიდა, თუ ზღვარს გადასცილდა, ყველაზე ძეებულ ჭოფს კაცსა მოკვლადცა კადცისა... „არცა მპარავთა, არცა მემთავლეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ“. და ამისთვის უნდა ვიყვნეთ ფრთხილ და მარჯოლსაჯულ, რომელ ერთმან მეორეს უსამართლოებთან არარაი მიუღოთ რა“.

2.

როცა ამბავს ჰყვებოდა, თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, რადგან ამ ამბავთა მოგონება სიამაყეს ჰგვრიდა და, თავის დამოკიდებულებას მკვეთრად რომ გამოხატავდა, ამით სიცოცხლის ჩაუქრობელ ლანდს ელაციცებოდა.

— სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, თვით უკვდავება სახელისა სიცოცხლის ნაწილია მხოლოდ. სიკვდილი კი ძალადობაა სიცოცხლეზე, ამიტომ ჯერძეთი სიკვდილს. სიცოცხლე გვინდა, სიცოცხლე გვინდა ასჯერ და ათასჯერ მეტი, სიცოცხლე თვით არის მშვენიერი და ლამაზი. რაც ვინდა მწარე იყოს! სიცოცხლე გვეძახის, ხოცოცხლე გვიხმობს, სიცოცხლე სიკვდილისა დამთურგვნელი. სასეანთებული, სიცხისაგან ლოყებდაწოილებული, მაგრამ რადაცნაირად გაფითრებული და აღზნებული ამბობდა ამ სიტყვებს. მერე მიხვდა, რომ უადგილო იყო ასეთი აღფრთოვანება ბავადმყოფისა და თითქოს რადაცისა შერცხვა, თავის ნათქვამის დასაუთებას შეუდგა.

— როგორ ამბობს ჭოლა? — იკითხა და იქვე მაგიდაზე დადებული ჭოლა ლომთათიძის ტომეული აიღო. ეს წიგნი გუშინ მოითხოვა და მთელი დღე და ღამე კითხულობდა. დათოს უზომოდ უყვარდა ჭოლა. დანშნული ადგილი გადაშალა და წაიკითხა.

მერე შეჩერდა, უცნაურად გაიღიმა.

— ბევრს ვლაპარაკობ სიკვდილ-სიცოცხლეზე, არა? ახლა ეს დიდებული ჭოლაც მოვიშველიე თავის მართლებისათვის, არა?

მე ჩემთვის ჩავიფაპარაკე: — სიცოცხლე ერთი წამია, ჩიტივით გაგვიფრინდება.

— არა, არ არის მართალი! თუ ერთი წამია, ვინ ააშენა ეს ქალაქები და ხიდები? მე თითქმის მთელი მოსფლიო მოვიარე ამ ომში, რაც მე ქალაქები და ქვეყნები ვნახე. აბა, ისა ვინ ააშენებდა, სიცოცხლე რომ ერთი წამი იყოს. არა, სიკვდილია ერთი წამი, სიცოცხლე კი გრძელია, დაუსრულებლად გრძელი და ამიტომაც ახდენენ ადამიანებიც ამ სასწაულებს. დიახ, ახდენენ სასწაულებს და სიკვდილისათვის ვერაფერი მოუხერხებიათ მოვა სიკვდილი და ამ საათივით აწყობილ სიცოცხლეს მოშლის. ადამიანს ერთ წამს წაგაქცევს. ეს რა არის დასანანი. დასანანია იმიტომ, რომ ამ საათივით აწყობილ ორგანიზმს, რომელსაც ფიქრისა და განსჯის ნიჭი აქვს, ორი იმდენი ქალაქები და სოფლები შეეძლო აეშენებინა, ეს ორი სიკვდილი რომ არ იყოს, ცხოვრების სილამაზე კი ამ შენებასა და ბრძოლაშია გამოვლენილი, — ჩვენმა შენაერთმა. ორი დღეც გავიდა, და გერმანიის ტანკს ეკითხეოდით და თვალებს ისევ ის სიხარულისა და სიამაყის ცრემლები გვისველებდა, 1941 წლის 7 ნოემბერს რომ მოგვეფალა. კიდევ ათი დღე გავიდა, და ბრძანება მივიღეთ შინ გამგზავრების თათბაზე. ვერ გეტყვით, მე ეს გამეხარდა თუ მეწყინა კიდეც, ისე შევეზარდე ფრონტულ ცხოვრებას, ფრონტელ ძმებს, რომ ახლა ჩემი ნამდვილი ცხოვრება ფრონტი იყო. ასე მეგონა ვეფხოვებოდი ჩემს ნამდვილ ცხოვრებას, ჩემს პირველ სიყვარულს — სვეტლანას და როცა მეორე ცხოვრებაზე ფიქრს შევუდექი, რაღაცნაირად გული დამწყდა... ხოლო როცა სახლისაკენ გზას დავდექი, უკვე მოვიჩქაროდი.

და კიდევ იცი, ომმა ჩემთვის ნათელი რა გახადა? ეს ომი ერთი შეხედვით თითქოს მამაკაცების ომი იყო, ნამდვილად კი ამ ომში ქალებმა დიდი როლი შესრულეს. ქალი სიცოცხლის დედა, დედა სიცოცხლის გაგრძელებისა და სიცოცხლე ხომ სიკვდილის დამთრგუნველია. გამოდის, რომ ქალები ქვეყნის აშენებისა და დაცვის მთავარი ძალაც ყოფილან. ეჰ, რა დიდი უბედურება გადახდათ ამ ომში ჩვენს ქალებს?

როცა ვათავისუფლებდით დაპყრობილ სოფლებსა და ქალაქებს, პირველი ისინი სარომდნენ, მაგრამ ქალებმიც იყვნენ ხუსტნი და ადვილად დამყოლნი ვნებისა. მე მინახავს საოცარი ვაკანალია ხელისა. მე ჭირივით მძულს გაბიშვლებული, ცხოველური ვნება. იყო შემთხვევა, რომ ომმა შეურცხყო სიყვარული, ქუჩაში გამოიტანა და მთლად გააშიშვლა ეს უნაზესი გრძნობა, გააუპატიურა, მანდილი ახადა ზოგიერთ ქალს. ეს რომელიღაც წიგნიდან ამოღებული ციტატა რიდია, მე თვით ამოვიკითხე ცხოვრების წიგნში, ომის წიგნში.

მაგრამ იყვნენ ქალები, რომლებიც თავსაც იცავდნენ, მამუსსაც და ნამუსსაც. აი ასეთი ქალები არიან პატრიოტიზმის ღირსნი. ჩემს ასეულში იყო ერთი რუსის ქალი, ეკთანი სვეტლანა ივანოვა. ჯერ არ მინახავს იმაზე უმამაცესი და იმაზე ულამაზესი ქალი. არა, ის ქალი კი არა, ქალღმერთი იყო და იცი, რა აძლევდა ასეთ დიდ სულიერ სილამაზეს? გამბედაობა, გულწრფელობა და უშუალობა. მე იმას აუცილებლად ცოლად შევირთავდი, რომ ჩემს გვერდით არ მოეკლათ. ეჰ, სვეტლანა პატივით დავსაფლავეთ და ცრემლიც, გულწრფელი ცრემლიც ვაპკურე! თუ მოვრჩი, უთუოდ მოვინახულებ მის საფლავს.

სვეტლანა რომ დავმარხე, უკვე ბინდდებოდა. უცნაური ფერის ჩამავალი მზის სხივები ანათებდა დასავლეთის ცაზე დაკიდებულ ღრუბლებს. მზის უკანასკნელ სხივებს ყვითლად შეეღება თეთრ ბოლქვებად დასხვავებული ღრუბლები. მე იქვე ჯიკრზე ჩამოვჯექი და ცას მივაჩერდი. შემოდგომის ყვითელ ფოთოლზე უფრო ყვითელი იყო ცის კაბადონზე დაკიდებული ღრუბელი. ასე მომეჩვენა, რომ იმ ციდან ხახადაღებული სიკვდილის ყვითელი სილუეტი ამზერდა ჩემსკენ.

აი მაშინ პირველად მეწვია უსიამოვნო სევდა, გულის გამსჭვალავი და სულის შემხუთველი სევდა, ისეთივე ნაცრისფერი და ყვითელი, როგორც იმ ცაზე დაკიდებული ღრუბელი იყო. ამ სევდას უფრო აძლიერებდა სიჩუმე და მარტოობა. ჩემგან დაშორებით სულ ხამასიოდე მეტრზე იყვნენ ჩემი მებრძოლი მეომრები, მაგრამ მაინც მარტოობას ვგრძნობდი და მივხვდი, რომ ის, ვინც ახლა მიწას მივაბარე, უფრო ძლიერ მყვარებია, ვიდრე ამას აქამდე ვგრძნობდი... დიდხანს ვიჯექი ასე გაოგნებული, ვიდრე ბორეული ვრუხუნის ხმამ არ გამომაფხიზლა. ეს ჩემი ასეული იყო. მტერს უტევდა.

აჩქარებით მივაშურე შეტევაზე გადასულ ჩემს ასეულს, ბრძოლის ენაზე, სიცოცხლის ენაზე ისევ ისევ ილაპარაკეს ... ეს თქვა და სევდიანად ამოოხრა.

— ჩემთვის გასაგებია ეს შენი ოხვრა, ჩემო დათო. ომის მოგონებას თან ახლავს სევდა და ოხვრა, თუმცა მარტო ომისას კი არა, ყოველგვარ მოგონებას, რაგინდ რომანტიკულიც არ უნდა იყოს, თან ახლავს სევდა, სევდა გარდასულისა, იმისა, რაც იყო და აღარ არის! ხომ გახსოვს, ბებიას ყოველი ზღაპარი ასე იწყებოდა: იყო და არა იყო რა.... მთელ ამ გაზღაპრებულ ამბავს, რაგინდ ოპტიმისტური უნდა ყოფილიყო, თან ახლდა ჩვენი სევდა იმის გამო, რომ იყო და აღარ არის... ასევ ცხოვრება: ერთი კაცი მეორედ არ დაიბადება, ერთი ამბავი, ერთი ცხოვრება იმავე სახით არ განმეორდება. იყო და წავიდა...

შევხედე ჩემს ძმას. ჩამქრალი თვალები უცნაურად უციმციმებდა. თვალი მოვარიდე მის გაშუქებულ მზერას. მომეჩვენა, თითქოს იატაკი გამომეცალა და ჰაერში დავიდებული შველას ვითხოვდი. ისე მიგაგდა ნამდვილს ეს შეგრძნება, რომ ფეხით მოვსინჯე იატაკი. ასეთი გრძნობა ერთხელ კიდევ მაშინ მეწვია, როცა 1942 წელს დაბომბვის შიშით აწრიალებული თბილისის ზეცა პროჟექტორების შუქით იყო დასერილი. მაშინაც ნიადაგი გამომეცალა და ჰაერში გამოკიდებული წარმოვიდგინე ჩემი თავი. მაშინ გადავრჩით, თბილისი გადარჩა. ნუტა ეს გადარჩენდეს ახლა ჩემი დათოც. შეეხედე დათოს და ერთბაშად შეგვრთი, არ ვიცი ეს მოლანდების შიშის ბრალი იყო თუ მისი სახიდან გამომკრთალი სხივისა.

4.

იმ კვირას დავკრძალეთ ჩემი ძმა. შინ რომ დავბრუნდით, ყველანი რომ წავიდნენ, მამაჩემმა სიკვდილისაგან დამუნჯებულ ერთ ოთახში რომ დაგვიბეჭა, ასე ვკითხეთ:

— არა, შვილებო! ჩვენს იარასა და წუხილს ვერაფერი განკურნავს, მაგრამ რაკი ცოცხლები ვართ, ზრუნვაც გვმართებს, ოჯახის წაქცევა და ჩვენი სიკვდილი იმას ვერას უშველის აწი. ვერა და ვერა. * მის საფლავსაც მოვლა უნდა და მეც და დედათქვენსაც მოხდება და დასაფლავება.

აქ მამას ცრემლი მოერია და სიტყვა გაუწყდა. დედა ადგა, ოთახიდან გავიდა და სამზარეულო სახლში ჩამქრალი კერიის პირას დაჯდა მოკუნტული, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს... მერე დილას უთენია საფლავს მიაშურა. იტირა, იტირა საფლავს გადაფოფრებულმა, ვიდრე გული არ შეუღონდა. მერე ხელზე ატატებული მოვიყვანეთ შინ... მამაჩემმა სამზარეულო სახლში კერიაზე ეცხლი დაანთო და ისლით დახურული სახლი ისევ აბოლდა. იმედი მომეცა. მაშ ოჯახის კერა არ ჩაშრალა! გავიფიქრე მე. ეცხლი, კვამლი და სიცოცხლე ისევ გვეძახდა.

დედაჩემს ერთი წელი ტანთ არ გაუხდია და ლოგინზე არ დაწოლილა. უმცროსი შვილის სიკვდილის შემდეგ ხორცისთვის პირი არ დაუკარებია, ხილი და ტკბილი არ უმჭამია, დაატანჯა თავი, მაგრამ მაინც დიდხანს იცოცხლა, 85 წლისა გარდაიცვალა. ტანჯულმა ადამიანმა შვილიშვილები და შვილთაშვილები მაინც დაზარდა. დაზარდა ვამბობთ, რადგან შვილები და შვილიშვილები, ქალაქში სწავლას მორჩებოდნენ თუ არა, ან არდადეგები დაიწყებოდა თუ არა, სოფლად, ბებიასთან მიაშურებდნენ. დედაჩემი დღე და ღამე შრომობდა მათთვის. ხალისი გულთან არ მიუკარებია, მაგრამ შვილების და შვილთა შვილების სიყვარულით აღძრული სიხარული თვითონ ეძალებოდა და აცოცხლებდა ამ გაუტეხელ ქალს. აბა, რით ავხსნათ

თბილისის ღილა

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პურის ნატეხი

ნამფიქრალი ამბავი

ახლოვს ლენინგრადს თმის მძვინვარე წლები. ახლოვს სამწლიანი ბლოკადის ზღაზვინთ წაწოლილი დღეები, ახლოვთ ბლოკადის სიმწარე წითელარმიელთა ქუჩებს, მდინარე ნევას, ლიტეინის, სუვოროვის პროსპექტებს, საფოფაიისა თუ მაისენკოს ქუჩებს...

ახლოვს ყველას სიცივე, სიტიტვლე, გაჭირვება, შიმშილით წელში გაწყვეტილა, ჩონჩხადქცეული ადამიანები ძლივს რომ დალასლასებდნენ ქუჩებში. ახლოვთ ბავშვების ტირილი, დედების ჩაცვენული თვალები.

ორგვლივ შიმშილს დაეღო ბინა. ლენინგრადის ქუჩებში ვიღარ ჩვდებოდით ოთხფეხს, ყველა შიმშილის მსხვერპლი გამხდარიყო.

ახლოვთ, შიმშილით დაღუპული მახლობლები, შინაურები, მეზობლები, მეგობრები, დამარხვის თავიც რომ ალარა ჰქონდათ, ძალაგამოლეწონი ყარამლოდ რომ ბბარებდნენ მიწას და ტირილის ღონეც ალარ შესწევდათ.

საფოფაიის ქუჩასაც ახლოვს თავისი შრომისმოყვარე ხალხი, კეთილი ადამიანები, რომლებიც ან ფიქრობდნენ ომზე, მშვიდობა ედგათ შუბლზე გვირგვინად...

პატარა ნინოს ბავშვობითვე ბედმა ჯანმრთელობა მოანატრა, მძიმე სენს დისაგდურებინა მის ფილტვებში და შეუბრალებლად ღრღნიდა ნორჩ ორგანიზმს.

ძვირფასი იყო მისთვის ჰქონოდა თუნდაც პურის ნატეხი, რომელიც გაახანგრძლივებდა მის სიცოცხლეს, ასე ძლიერ რომ სწყუროდა გოგონას...

მის მეზობლად, დიდად ანას ლენინგრადელ ბავშვი ხელში ზეზეურ დაუდნა... იცოდებოდა ავადმყოფ ნინოს ბაწი ლენა, რომელსაც დედა საწოლში ჩაკრულს ტოვებდა, თვითონ კი საშოიარზე გადიოდა. იქიდან მობრუნებულ, ქანცმილეულ ანას ან ეშირა ხელთ პურის ნატეხი, ან არა...

ნინო კი იჯდა კიბის საფეხურზე, სევდიანი სახით გაპყურებდა ქუჩას და ელოდა დედას, ელოდა დედა ანას, ელოდა მეზობლებს, როგორ მოგროვდებოდნენ ისინი საღამოს, დანაოჭებული სახეებით...

ყველას სიბრალულის თვალით ბკვირდებოდა ნინო და სითბოთი ქუთუთოები ასწია, მიბნედილ უფეფრულ გუგებს სინათლე ეუბრუნდა, პურის ნატეხს ინგარიშიშეუცემლად დაფრინდა, გამოართვა და უკვე გადასანსლა.

ნინო უყურებდა, როგორ სწრაფად ღიჭვადა ბალრალ პურს, ნინომ ნერწყვი გადაყლაპა, შეინშნა კიდეც, ანა დედდა როგორ მოღონიერდა, საფეხურები უფრო ღონივრად ალარა და გამოკეტილ გოგონას მიაშურა.

ანა კარის ზღურბლთან შედგა. უკვე ეკვნა ნინო. გასაღები ხელში ჯიეყინა და გაიფიქრა: — თვითონ?... რა უნდა ჭამოს ავადმყოფმა ბავშვმა?... ეს რა გავაკეთე?...

მერე კი ისევ ლენას ნახვის სურვილმა დასძლია, სასწრაფოდ სახლში შეგარდა, საწოლს მიუახლოვდა, ხელი შეახო, ლენა ალარც ტიროდა. ალარც კენესოდა, ალარც ძუძუს ითხოვდა... ანამ ერთი ღრმად ამოისუნთქა და თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნა მხრებიდან, მშვიდად მიწვა საწოლზე... ცრემლიც კი არ გადმოვარდნია...

...ამას ნინათ ნინო თბილისში მეგობარს ეწვია სტუმრად. ბევრი მძიმე მოგონებით დაგვტვირთა; გული დაგვიკოდა ომისდროინდელი ლენინგრადელი ეპიზოდებით. ორი შვილის დედას არ ავიწყდება არავინ, ვინც კი შიმშილმა იმსხვერპლა იმ მძიმე წლებში, მაგრამ ვაჟიკა ჩვენი მეზობლების უჩვეულო საქციელმა.

სანაგვე ბუნკერებიდან მანქანაზე ნაგავს რომ ყრიდნენ, პურის არამც თუ ნატეხები, მთელი თონეულები გამოჰქონდათ. უყურა ნინომ, გაკანკალა, თვალებზე მომდგარი ცრემლი ცერა თითით ამოიწმინდა და გულამოჯდარმა გვისაყვედურა.

— როგორ არ იციან პურის ფასი. ღმერთო ჩემო, ეს პური რომ ჭამონდა ანა დედიას. მის დას, ძმას, დედას, ჩემს მეზობლებს, ოღრე ხომ ცოცხლები იქნებოდნენ, რატომ ექვცეთ პურს ასე, პატივი ეცით პურის ნატეხს, ხალხო!..

სირცხვილით დავიწვი, ვერაფერი ვთქვი, მე მისი ნაამბობი მეკითხეულს გავუზიარე, და ამით გავეცი პასუხი ლენინგრადელ სტუმარს.

დ. ზურაბაშვილი.

ათასნაირი ამბები

ფრენის ახალი მეთოდი

ჯილიან ადამსი, ინგლისში ვერტმფრინავების გაქირაველის ფირმის მმართველი, უჩვენებს ფრენის ახალ მეთოდს. ადამიანი, რომელიც ჩამოკიდებულია სპეციალურად მოწყობილი ბაგირებით ვერტმფრინავზე, პრაქტიკულად თითქმის არ ირხევა, ამტკიცებს ადამსი. ბაგირებზე ჩამოკიდებულ ადამიანს ხელები თავისუფალი აქვს. ჯილიან ადამსი დარწმუნებულია, რომ ამ სიახლით დაინტერესდებიან მშველი რაზმები და ენერგეტიკოსები.



ფოტო ჟურნალ "ოსტერლიან პოსტიდან".

ფაბრიკა ზღვაში

ბაზმი „ოსტვრეერი" იწყება ინგლის-ჰოლანდიის პროექტზე ხელოვნური კუნძულის აშენების შესახებ, სადაც ბანბრხასულია სამრეწველო ნარჩენების გადამშავებელი ფაბრიკის აშენება.

კუნძულის აშენება გადაწყვეტილია ჩრდილოეთის ზღვაში, 50 კილომეტრზე ჰოლანდიის ნაპირებიდან. მისი სიგრძე იქნება ორი კილომეტრი, სიგანე — 900 მეტრი. შენებლობის დროს გამოყენებული იქნება ბეტონის ბლოკები და ზღვის ნიადაგი.

წინასწარი შეფასებით კუნძულის, სამრეწველო კომპლექსის, ნავმისადგომის და ნელდეულის მიმწოდებელი სპეციალური გემების აშენება დაჯდება 48 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ვარაუდობენ, რომ კუნძულზე გადამუშავდება ინგლისისა და ჰოლანდიის მრეწველობის ნარჩენების დაახლოებით 20 პროცენტი.

მართალია, პროექტი ჯერჯერობით დამუშავების სტადიაშია, მაგრამ მან უკვე შეიძინა როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი. „პესიმისტები" ასეთ წამოწყებას წამგებიანად თვლიან. მათი გამოთვლით კუნძულ-ფაბრიკის ყოველწლიური „დეფიციტი" ორ მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბებს. სამაგიეროდ „ოპტიმისტები" „ვარაუდობენ, რომ ფაბრიკაზე გაწეული ხარჯები ნაწილობრივ დაიფარება ნედლეულის მეორადი გადამუშავებით და სამრეწველო ნარჩენებისაგან განთავისუფლებული მიწის ნაკვეთების გამოყენებით.

ბიზნესი ავარიებზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმუშავეს ავტომატური მუხრუჭის პროექტი. მალე ამ მუხრუჭებით აღიჭურვება ყველა ავტომობილი. გამომთვლელი მოწყობილობა რადარით მძღოლზე აღრე შენიშნავს დაბრკოლებას და ავტომატურად დაამუხრუჭებს ავტომობილსა. გამოცდის შემდეგ მოურებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ სიახლეს, რომელიც შეამცირებს საგზაო კატასტროფების რიცხვს.

თუმცაღა, ეს სიახლე მრეწველობის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ფირმები, რომლებიც სხვადასხვა საამორტიზაციო სისტემებს უშვებენ, ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ ახალი გამოგონების ათვისება, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ ეს შეამცირებს იმ პირთა რიცხვს, რომლებიც აქამდე მათ მიერ გამოშვებულ ნაწარმს ყიდულობდნენ.

ქარების გამოძვაბული

მოხუცები ირწმუნებოდნენ, რომ მდინარე ფრინტუტრეს ნაპირზე კლდის ნაპრალიდან განუწყვეტლივ უბერავს ქარი. სპელეოლოგები დაინტერესდნენ ამ ამბით. დიდი გაკვირვებით შეიკრნენ ნაპრალში და გაპყვნენ მონაბერი ჰაერის ნაკადის მიმართულებას. დიდხანს მიდიოდნენ მიწისქვეშეთში, გასაბერი ნავებით გადალახეს რამდენიმე მიწისქვეშა ტბა და როგორც იქნა მიაღწიეს გამოქვაბულის ბოლოს. გამოქვაბულის სიგრძე იყო 18 კილომეტრი. ეს შეიდი კილომეტრით მეტია ცნობილ ტოპოლიეზე გამოქვაბულზე, რომელიც აქამდე უდიდესად ითვლებოდა რუმინეთში.

„კომუნისტის" კონკურსი

საიუბილეო-50

გიწვევთ საიუბილეო საკავშირო კონკურსზე საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია აცხადებს საკავშირო კონკურსს — „საიუბილეო-50" საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია 5 პრიზი.

I პრიზი — 100 მანეთი
II პრიზი — 80 მანეთი
III პრიზი — 70 მანეთი
IV პრიზი — 60 მანეთი
V პრიზი — 50 მანეთი

მომდევნო ნაწარმოებები აღინიშნება საპატიო და ქების შეფასებებით.

წარმოდგენილ ნაწარმოებებს განიხილავს კონკურსის ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **მიხეილ ბოტვინიკი** (მოსკოვი) და **ვაჟა ნეიძე** (თბილისი).

წარმოდგენილი ეტიუდები უნდა იყოს დიაგრამაზე მოცემული (ორ ეგზემპლარად), დაწვრილებითი ამოხსნით, ავტორის გვარის, სახელის და მამის სახელის აღნიშვნით. საკონკურსო ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს არაუგვიანეს ა. წ. **15 ნოემბრისა** შემდეგი მისამართით:

თბილისი, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია, წარწერით „კონკურსი-50".

ორი „ოქრო" და ორი რეკორდი

საბჭოთა კავშირის 43-ე ჩემპიონატი ცურვაში

რა დასამალია, როდესაც შეჯიბრებაში ჩემპიონობის საკითხი არ წყდება და სპორტსმენები მხოლოდ შემდგომ ეტაპში მოხვედრაზე ფიქრობენ, ბრძოლას, როგორც წესი, სიმწვავე და დაძაბულობა აკლდება.

მაგრამ ყოველ წესს, როგორც ვიცით, თავისი გამონაკლისიც აქვს. ამაში ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით „ლოკომოტივის" საცურავ აუზში გუშინ საღამოს გამართული ნახევარფინალური გულიმა გაცურვის დროს ვაჟთა შორის 200-მეტრიან დისტანციაზე.

დიახ, 20 წლის ბიბუმელმა **ვიქტორ კრასკომ** („დინამო"), რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ი. შაგოვა ავარჯიშებს, კარგად აღო სტარტი და სულ მალე საგრძნობლად ჩაიოტოკა უკან ყველა მეტოქე, მათ შორის სსრ კავშირის რეკორდსმენი ამ დისტანციაზე, ვოლგოგრადელი ლ. დობროსკოკინი.

წამმზომებმა უჩვენეს 2.13,5, რაც სამი მეათედ წამით აღემატება ვ. კრასკოს მიერვე 1970 წელს ქუთაისში დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდს (ამავე დროს იგი საკავშირო მიღწევა იყო ჭაბუკთა შორის).

ბევრი მღელვარება მოუტანა მაყურებლებს თავისუფალი სტილით ფინალურმა გაცურვამ 400 მეტრზე ვაჟთა შორის, რომელშიც შესანიშნავმა ტრიომ მოიყარა თავი — ვ. ბურე, ა. სამსონოვი, ვ. პერდიხინი.

თავდაპირველად დაწინაურდა სამსონოვი, მაგრამ ბურე, რომ იტაკიან, კვალდაკვალ მისდევდა მას. უკანასკნელ 50-მეტრიან მონაკვეთზე ბურემ ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ სპეციალისტებმა ფინიშზე წამმზომმონაკვეთები ხელები შემორეს სიხარულით. 4.07,3! ეს საბჭოთა კავშირის-ახალი რეკორდია და იგი მთელი 2,6 წამით აღემატება ძველ მიღწევას.

პირველმა ახალი რეკორდი **ვ. ბურეს** მიულოცა ვალ. ბურემ — მისმა მამამ და მწვრთნელმა, რუსეთის ფედერაციის დამსახურებულმა მწვრთნელმა.

გუშინ საღამოს გათამაშდა ოქროს კიდევ ერთი medalი — 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა შორის. სამწუხაროდ, დისტანციაზე არ გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ლვოველი ვ. ვასკევიჩი, რომელსაც დღეს ძნელი სტარტი ელის 200-მეტრიან ბატერფლაიში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოველმა **ნ. სუხოვცევამ** — 9.47,5 (მწვრთნელი ა. დრობინსკი).

კომპლექსურ ცურვაში 200 მეტრზე ქალთა შორის კაუნასელმა **ბ. უჟკურაიტიტემ** (2.30,1) კვლავ სძლია სსრ კავშირის რეკორდსმენს. ნ. პეტროვას, ხოლო ვაჟებში ამ სახეობაში და ამავე დისტანციაზე კიდევ ერთხელ ისახელა თავი ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა ასტრახანელმა **მ. სუხარევმა** — 2.11,9.

ო. ნოზაძე.

ფეხბურთის ამბები

ქუთაისის „ტორპედოს" ორკონიკიძეში „სპარტაკთან" გამარჯვების შემთხვევაში შესამჩნევად შეეძლო გაეუმჯობესებინა თავისი სატურნირო მდგომარეობა, მიაღლოებოდა მთავარ მეტოქეს — ოდესის „ჩერნომორეცს", რომელმაც 4 აგვისტოს იაროსლავლში წაიგო „შინიკთან" — 1:3. მაგრამ ტორპედოელებმა კვლავ წარუმატებლად ითამაშეს სხვის მოედანზე და დამარცხდნენ 0:1. თითო ქულა დაკარგეს ლიდერმა — ტაშკენტის „პახტაკორმა" და პირველი ექვსეულის წარმომადგენელმა „ზვეზდამ" — პერმში მათი მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა. დონეცკის „შახტიორი" ამ ტურში თავისუფალი იყო.

ახლა „პახტაკორს" 22 თამაშიდან 35 ქულა აქვს, „ჩერნომორეცს" —31, „ზვეზდას" — 27, „შახტიორს" (21 თამაშიდან), „ტორპედოსა" და „შინიკს" — 26-26 ქულა. მორიგ ტურში ქუთაისის „ტორპედო" თავისუფალია.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის გუნდებს საერთაშორისო ამხანაგური თამაშებიც ჰქონდათ.

ერევნის „არარატს" ეწვია **რუმინეთის** ქალაქ ბაკაუს ნაკრები გუნდი. მასპინძლებმა — ზანაზანიანმა, უნანოვამ და კაზარიანმა სამი მშრალი ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში.

ბაღრეს ტყურცნის ფ. ველნიკი

ერევნელმა სპორტსმენმა **ფაინა ველნიკმა, რომელიც დღეს კონკურსგარეშე გამოდიოდა მოსკოვში სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის" თასის გათამაშებაში მძლეოსანთა შორის, ბადრეს ტყორცნაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 66 მეტრი და 76 სანტიმეტრი.** წინა რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, **გაუმჯობესებულია ერთი მეტრით და 28 სანტიმეტრით.** (საცდელი).

ბურთის ტარებაში **დონეცკის** „შახტიორს" შეხვედრა ჰქონდა **კუბის** ნაკრებ გუნდთან და გაიმარჯვა 1:0.

ბუენოს მოსკოვში გაიმართა მატჩი სსრ კავშირისა და შეიციის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 2:2.

მიუნხენის წინ

ჩიკაგოში წინაოლიმპიურ ახპარეზობაზე მაღალ შედეგებს უჩვენებენ ამერიკელი სპორტსმენები.

18 წლის კალიფორნიელმა სტუდენტმა პერტ კრუმპაკოლმა ყველასათვის მოულოდნელად მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.00,1. ეს ფენომენალური შედეგი 1,7 წამით უკეთესია ავსტრალიელ ბრედ კუპერის ადრინდელ რეკორდზე.

22 წლის სტუდენტმა მარკ სპიტმა კვლავ გაუმჯობესა საკუთარი მსოფლიო რეკორდი სპრინტერულ დისტანციაზე ბატერფლაის სტილით — 100 მეტრი — 54,7 წამი.

15 წლის შირლი ბაბაშოფმა 0,6 წამი ჩამოაკლო სახელგანთქმული ავსტრალიელი შეინ გოულდის მსოფლიო რეკორდს 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. გოგონამ ეს მანძილი 2 წუთსა და 05,2 წამში დაფარა.



ქორვაჭარი ზღვაზე

ა. ერაძის ნახატები.

პატარა ფელეტონი

ვიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს...

ადამიანის ჯანმრთელობა რომ თვით მასზეა დამოკიდებული, ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა და ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს, ხოლო თუ ექიმს მიმართავ, იმასაც გირჩევს, რომ ყოველ დილით კარგა გამაჯანსაღებელი ვარჯიში, ტანი დაიხილოთ ოთახში ნადგომ წყალში დასველებული ტილოთი, ყურადღება მიაქციოთ კვების რაციონს, ბევრი არ ჭამოთ, რაც შეიძლება ეროდოთ პურს, განსაკუთრებით ისეთს, გამომრთობა რომ აკლია, ანუ იგი ცომს, რომელიც ტანკენარობის მტერია და გასუქება-გასიფებას ძალიან უწყობს ხელს.

რას იზამთ, ექიმს იმიტომ ჰქვია მკურნალი, რომ მისი რჩევა-დარიგება ყურადსაღებია.

ახლა სწორად გაიგონებთ: დიეტაზე ვარ, წყალს არა ვსვამ, პურს არა ვჭამ, მეშინია არ გავსუქდე, ფეხით დავდივარ... ვინც რა უნდა თქვას და ქნას, მაგრამ თბილისში მაინც არსებობენ პურის ქარხნები, უშვებენ მრავალფეროვან პროდუქციას, რომლითაც საფუნთუშე მაღაზიები ვიჭრობენ, პურს ბევრი თავყანისმცემელი ყავს, რადგან პური ჩვენი არსობისაო, უთქვამთ ძველებს.

პეტრიაშვილის ქუჩაზე „თბილპურეაპრომის" № 57 მაღაზიაში სალამოობს მომზმარებელი მივიდა და გამყიდველს რაღაც ქაღალდში გამოხვეული გაუწოდა და გულისწყრომით უთხრა: რა არის ეს?

— პური, ბეგიაკალე, ოღონდ კარტოფილის ავადმყოფობა აქვს. — და გამყიდველმა წყალობით გაწებილი ხელები ქაღალდზე შეახოცა, — ასეთია დღეანდელი მიღებული პური, ბატონო, ჩვენი ბრალი არ არის, მესამე ქარხნის ნახელავია. ქარხანა შორს არ არის, აგერ აქვეა, ნიკოლაძის ქუჩაზე.

— ამხანაგო, — შეეკითხნენ პურის მესამე ქარხნის დირექტორს აკაკი გაბედავას, — რაშია საქმე, რატომ არის ასეთი თქვენი ქარხნის მიერ გამოცხვარი პური?

— პურში კარტოფილის დაავადება გამოწვეულია მიკროორგანიზმების ზემოქმედებით, რაც გამოიხატება იმით, რომ პური ხდება მწეავადი და აქვს არასასიამოვნო სუნი და გემო. ამ ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმები ფართოდ არის გავრცელებული ჰაერში, ნიადაგში, მცენარეულობაში და გვხვდება თითქმის ყველა ფქვილში სხვადასხვა რაოდენობით...

— ბატონო, თქვენ თქვენი ქარხნის მიერ გამომცხვარ პურზე ილაპარაკეთ.

— კარტოფილის დაავადების ჩხირები რომ მოისპოს, საჭიროა მასზე ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში ვიმოქმედოთ წყლის ორთქლით, რომლის ტემპერატურა ასი გრადუსი იქნება, ხოლო პურის გამოცხობის დროს მისი გულის ტემპერატურა 100 გრადუსს ვერ აღწევს და ცხობის ხანგრძლივობაც ერთ საათს არ აღემატება. ამიტომ პურის გამოცხობის პროცესში ბაქტერიის ჩხირები შესაძლებელია უვნებელი დარჩეს. მისი გამრავლებისა და სიცოცხლისუნარიანობის გაჯანმრთელებისათვის საუკეთესოდ ითვლება ოცდაუთმეტი-ორმოცი გრადუსი ტემპერატურა და გარემოში ტენიანობის არსებობა გარკვეული რაოდენობით.

— პურზე, ბატონო!

— კარტოფილის დაავადება პურში აღინიშნება მხოლოდ ზაფხულის ცხელ დღეებში, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღაზიებში და ბინებში პურის შენახვის პირობებს. ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ პური გამომწვეულია დაავადებული ფქვილისაგან, მისი ცხელ გარემოში შენახვის შემთხვევაში პურის დაავადება გარდუვალია.

— ჯერჯერობით თბილისში ვცხოვრობ, პატივცემულო ამხანაგო, და არა საპარის უდაბნოში. განჯინაში მქონდა შენახული.

— პურის სარეალიზაციი დიდი ადგილის გამოცხობის მომენტიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ პური უნდა მოიხსნას გაყიდვიდან, როგორც ადამიანის კვებისათვის გამოუსადეგარი.

— მჯერა თქვენი, მაგრამ სახლში რომ მივიტანე, ერთი საათის შემდეგ გაწყალდა.

— ცნობილია, რომ ეს დაავადება პურში 24 საათის განმავლობაში თითქმის არ ჩნდება, თუ ფქვილის დაავადების ხარისხი კარტოფილის დაავადების ჩხირებით დიდი არ არის, ამიტომ რეკომენდებულია ზაფხულის პერიოდში პური დახურულ ჭურჭელში და ნესტიან ადგილებში, სადაც ტემპერატურა ოცდაათ-ორმოც გრადუსს აღწევს, არ შეინახოთ.

— სრულებით არ მაინტერესებს კარტოფილის ჩხირებისა და მიკროორგანიზმების გაგონება პურზე და მის ხარისხზე. მე მინდა გავიგო, რატომ გამოუშვა თქვენმა ქარხანამ ასეთი ტალახი?

— როგორც აღვნიშნეთ, ეს ავადმყოფობა ქარხნის მიზეზით არ არის გამოწვეული, ძირითადი წყაროა დაავადებული ფქვილი.

— ქარხნის ტექნოლოგები და ლაბორატორია?

— როგორც ხედავთ, ქარხნის ტექნოლოგები და ლაბორატორია ყოველგვარ ზომებს ხმარობენ, რათა თავიდან აცილოთ ეს ავადმყოფობა.

მაგრამ, ნათქვამია, ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს!

საუბარი ჩაწერა ბ. ბახტურიძემ.

ნაკვეთები

ღვინოს თქვა...

ჰკუიან კაცთან ბრძენი ვარ,
რომგვენთან წამოვქუხდები.

ხალხური.

☐ **ახალგაზრდობაში** აცდენილმა ყანწმა სიბერეში მაქციფაო.

☐ **ლოთობა** წაიტრაბახა კიბოს, — ხალხის ხოცვაში შენ ჩემთან კოჭი მოგისხლტებაო.

☐ **მამაპაპური** ჭიქის გაზრდამ წნევაც გაზარდაო.

☐ **ბოტა** თხამ შეახსენა მძღოლს — მეც მძღოლი ვარ, მაგრამ არ მახსოვს ფარა კლდეზე გადამეჩეხოსო.

☐ **სიავდილს** უთქვამს — არც მე მიყვარს ფეხით სიარული, ხშირად ნასვამი მძღოლის გვერდით ვზიავარო.

☐ **მასპინძელმა** მძღოლს რომ შესთავაზა — ა ღვინო და ა ვარიაო, მძღოლმა მიუგო — პირველი ამიტომ არ გიახლები, მეორე არ დამემართოსო.

☐ **სპბის** და ჭაპის საქმენი ერთად ვერ იბოგინებსო.

☐ **ლოთი** მძღოლის ტალონმა დაიჩივლა — ჩემი პატრონი საკუთარ ცოლშვილს არ ინდობს და იმის მაგივრად მე მხვრეტენო.

☐ **ყანწმა** ჩაიცინა — კაცი დამიძმაკაცდა და, ჩემი არ იყოს, ფეხზე დგომას გადავაჩვიეო.

ვ. ჯაფარიშვილი.

ტელევიზია

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

6 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — რკინიგზელთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ლოკუმენტური ფილმები, 11.15 — „მუსიკალური კინოსკოპი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „დღეს რკინიგზელის საკავშირო დღეა". სტუდიაში — სსრ კავშირის გზათა მინისტრი ბუმაგინი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — რკინიგზელთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.40 — „კინოფაფა", 13.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტკარანი", 13.40 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 14.10 — მხატვრული ფილმი „ცისფერ-სიმაგრე ბორლეზზე", 15.35 — საესტრადო-გასართობი პროგრამა, 16.15 — „კინოლექტორიუმი", 18.00 — ფერადი ტელევიზია. „კინოშოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „სსრკ-50". ჩვენი საბჭოთა ნობათი, 19.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დადგმა „გზაჯვარედინზე" (II ნაწილი), 20.05 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დადგმა „გზაჯვარედინზე" (III ნაწილი), 21.00 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო მეხვედრა ფეხბურთში. საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ნაკრებს შეხვედრა (გადმოცემა შვეიციდან), 22.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — კინონარკვევი „ჭაბუკები მწყობრში", 19.55 — მხატვრული ფილმი „დღე გავიდა".

7 აგვისტო

პირველი პროგრამით

15.05 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მთელი სამეფო ამალა" (I, II, III სერია), 18.30 — მოსწავლეთათვის — პიონერთა მეხუთე საკავშირო შეკრება „არტეკში" (გადმოცემა სიმფეროპოლიდან), 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენას ეკრანი", 19.30 — გადაცემა ციკლიდან „ეს ყველამ უნდა იცოდეს", 19.50 — კონცერტი, 20.10 — საჭადრაკო მიმოხილვა, 20.30 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — ფერადი ტელევიზია. მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი ცხოვრება". — პრემიერა (პირველი სერია), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — სვანური ხალხური ეპოსი — „ლადერ", 23.05 — კინონარკვევი „სიჩქარე, სიჩქარე", 23.15 — სპორტული დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — განცხადებები, 19.10 — დოკუმენტური ფილმი — „შეხვედრა ვარშავასთან", 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — დოკუმენტური ფილმი „ეს ჩვენი მიწაა", 20.30 — სატელევიზიო დადგმა „ძველი ციხე-სიმაგრის აჩრდილები" (I, II, III სერია).

„ლოკომოტივის" სტადიონი

8 და 9 აგვისტოს ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობაზე
8 აგვისტოს
„ტორპედო" მოსკოვი — „დინამო" თბილისი
სათადარიგო შემადგენლობანი.
9 აგვისტოს
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 7 ს. 30 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში 7 აგვისტოს, ბბონემენტებზე 7 და 8 აგვისტოს 12-დან 7 საათამდე. საერთო გაყიდვა 9 აგვისტოს 10 საათიდან სტადიონის სალარიებში.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი" 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-02, 99-82-09, ბ/შ. მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-37-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 92-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-53-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-15-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90. ოფსეტიდან — 99-60-21. წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 10181

სტ. „ა" ფასი 3 კაპიკი. „ბ" ფასი 2 კაპიკი. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები